



თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი

მარიამ მჭედლიძე

მედიაციის ინსტიტუტის ინტეგრირება საქართველოს საკანონმდებლო
სივრცესა და პრაქტიკაში

წარმოდგენილია მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

თემის ხელმძღვანელი: ქეთევან ირემაშვილი
ასოცირებული პროფესორი კერძო სამართლის მიმართულებით

თბილისის ღია უნივერსიტეტი
თბილისი, 0156,
საქართველო
2020

თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი

„ჩვენ , ქვემოთ ხელისმომწერნი ვადასტურებთ, რომ გავეცანი მარიამ მჭედლიძეს მიერ შესრულებულ ნაშრომს დასახელებით: მედიაციის ინსტიტუტის ინტეგრირება საქართველოს საკანონმდებლო სივრცესა და პრაქტიკაში და ვაძლევთ რეკომენდაციას განხილულ იქნას თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის საგამოცდო კომისიის მიერ მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად“

თარიღი: _____

ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი, ქეთევან ირემაშვილი

რეცენზენტი: _____

ავტორი: მარიამ მჭედლიძე

ნაშრომი: მედიაციის ინსტიტუტის ინტეგრირება საქართველოს საკანონმდებლო სივრცესა და პრაქტიკაში

სკოლა: სამართლის

საგანმანათლებლო პროგრამა: კერძო (ბიზნეს) სამართალი

ინდივიდუალური პროფნებების ან ინსტიტუტების მიერ ზემოთ მოყვანილი ნაშრომის გაცნობის მიზნით მოთხოვნის შემტხვევაში მისი არაკომერციული მიზნებით კოპირებისა და გავრცელების უფლება მინიჭებული აქვს თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტს.

ავტორის ხელმოწერა

რეზიუმე

სახელმწიფო მუდმივ განვითარებაზე ორიენტირებული ორგანიზმია. განვითარების ერთ-ერთი და მნიშვნელოვანი წყარო კი კანონმდებლობის მუდმივად განახლებაა, რაც მიმართული უნდა იყოს საუკეთესო პრაქტიკით მიღებული ცოდნის დამკვიდრებისკენ და იდეალურ მოდელთან მიახლოებისკენ. იდეალური მოდელის შექმნა კი, თავის მხრივ, უნდა ქმნიდეს სამართლიანი სამართლის გარანტს, რომლის საზომი ერთეული არა სუბიექტურ აზრთა სიმრავლისგან შექმნილი „ობიექტური ხედვა“, არამედ ყოველი ადამიანის უფლებების დაცვაა. ხშირად ვლინდება კანონის ნაკლოვანება, როდესაც იგი არ შეესაბამება ინდივიდუალური დავისას მხარეთა უფლებების დაცვას და მისი აღსრულებით იზღუდება გაცილებით დიდი სიკეთე, ვიდრე შესაძლებელია დაცულ იქნას. რა თქმა უნდა, აღნიშნული არ გულისხმობს კანონთა უგულებელყოფას, არამედ პირიქით სწორედ ეს იძლევა საუკეთესო პრაქტიკას, რომელიც გასაღებია განვითარების. თუმცა, აღნიშნულის მიღმა, შესაძლებელია დავის ინდუვიდუალიზმზე მორგებული ინსტიტუტის მეშვეობით მისი გადაწყვეტის საშუალების გამოყენება, რომლის შედეგები რა თქმა უნდა კანონთან და მხარესთან თანხვედრაში უნდა მოექცეს.

დავის გადაწყვეტის საშუალების შერჩევა მისი შინაარსის მიხედვით ხდება. სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია თითოეული ინსტიტუტის განმასხვავებელი ნიშნის მაქსიმალური შენარჩუნება, გამოყენება და ამით დავის გადაჭრის ალტერნატიული ხერხების მრავალფეროვნების განსაზღვრა და მათ მუდმივ განვითარებაზე ზრუნვა.

წინამდებარე ნაშრომის კვლევის საგანს მედიაციის ინსტიტუტი და საქართველოში მისი განვითარება წარმოადგენს. საკითხის აქტუალობა გარდა ზემოაღნიშნული მიზეზებისა, ასევე განაპირობა მედიაციის ინსტიტუტის მრავალწლიანმა პრაქტიკამ, რომელიც მოიცავს როგორც ფორმალურ, ასევე არაფორმალურ, ჩვეულებით სამართალში აღწერილ გამოცდილებას. მედიაციის ინსტიტუტის თავისებურებათა ცხადყოფა ხიდია მისი უპირატესობებით სარგებლობის გამოყენების მაქსიმალიზაციის მიზნისკენ, რაც იურიდიულ სამყაროში დარგის ნიშას განამტკიცებს. მიუხედავად იმისა, რომ მედიაციის ინსტიტუტი ფაქტობრივად არსებობდა, დღეს დღეისობით საქართველოში „სიახლის“ სტატუსს ნაწილობრივ ინარჩუნებს.

მედიაციის ინსტიტუტის განვითარების გაანალიზების ისტორიული კუთხით შეფასების გარდა, რომელიც, რა თქმა უნდა, ფონს ქმნის ინსტიტუტის ფორმალური განვითარებისთვის, ძალზე მნიშვნელოვანია მისი ადგილი საკანონმდებლო სივრცეში. მედიაციის ფორმალური დამკვიდრება საქართველოში 2011 წლიდან იწყება. დროთა განმავლობაში მედიაციის ინსტიტუტის კანონმდებლობით მოწესრიგების საკითხი განიცდიდა ცვალებადობას, რომელიც წინამდებარე კვლევის დროისთვის დაგვირგვინებულია 2019 წლის 18 სექტემბრის კანონით „მედიაციის შესახებ“. კანონით განხორციელებული ცვლილებები საკმაოდ მნიშვნელოვანია მედიაციის ინსტიტუტის განვლილი ეტაპებისთვის და პოპულარიზაციისთვის, რომელიც, თავის მხრივ, შექმნის

ახალ პრაქტიკას. იქიდან გამომდინარე, რომ კანონი 2020 წლის 1-ლი იანვრიდან ამოქმედდა, ფაქტობრივად შეუძლებელია მისი პრაქტიკული ანალიზი მოცემულ პერიოდში. თუმცა, საკითხის კვლევის სრულყოფისათვის მისი განხილვა სწორედ ინსტიტუტის არსებობის დასაბამიდან უნდა იწყებოდეს, რათა განვითარების ეტაპები სწორედ წარსულში არსებული ხარვეზების გამოსწორების კუთხით შეფასდეს. სწორედ ამიტომ ნაშრომში განხილულია 2011 წლის 20 დეკემბრის ცვლილებები საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში, რომელიც მედიაციის ფორმალური სახის დამკვიდრების საწყისია საქართველოში. კანონთა ქრონოლოგიური ანალიზი ცხადყოფს არა მარტო მედიაციის განვითარების ეტაპებს, არამედ თვალსაჩინოს გახდის მედიაციის საქართველოს კანონმდებლობაში ინტეგრირებას. კანონი ქმნის ქცევის წესს, ხოლო მათი დროში მოქმედების ცვალებადობა კი ქვეყანაში ინსტიტუტის კულტურის განმსაზღვრელია.

შეჯამებისთვის, მოცემული ნაშრომი არის ინფორმატიული ერთგვარი ექსპურსი დროში და საკანონმდებლო სივრცეში. ერთ სიბრტყეში მოცემული საკანონმდებლო აქტები და მათი შეფასება, რომლებიც დღეისთვის ქმნის მედიაციას საქართველოში, უზრუნველყოფს ინსტიტუტის სრული სურათის აღქმას, რაც შესაძლებელია მიმართული იყოს დარგის განვითარების ახალი გზების აღმოჩენისკენ.

Resume

The state is a body focused on constant development. One of the most important sources of constant development is the renewal of the legislation, which should be directed to the establishing the knowledge gained through best practice and approaching the ideal model. The creation of the ideal model should create guarantee of the fair law, which may be measured not by "objective vision", which is created by a unit of subjective opinions, but it should be the protection of each person's rights. There is often a flaw of law, when it doesn't conform to the protection of the rights of the parties in an individual dispute, and its enforcement limits much greater good that can be protected. Of course, it doesn't mean ignoring the laws, but rather it gives the best practice, which is the key to the development. However, beyond that, it is possible to use an opportunity to resolve it through an institution adapted to the individualism of dispute, the consequences of which must, of course, be in accordance to the law and the desire of the parties.

The means of resolving the dispute are selected according to its content. That is why it is important to maximize the use of each distinctive feature of each institution, and thus to determine the diversity of alternative ways of resolving disputes and to take care of their continuous development.

The subject of research is the Institute of Mediation and its development in Georgia. In addition to the above-mentioned reasons, the urgency of the issue was also conditioned by the many years of practice of the Institute of Mediation, which includes both formal and informal experience, described in traditional law. The manifestation of the peculiarities of Mediation is the bridge towards the goal of maximizing the use of its advantages, which strengthens the features of the field in the legal world. Although the institution of mediation actually existed, it still retains the status of a "novelty" in Georgia today.

Except for the historical assessment of the development of the Mediation Institute, which, of course, provides the background for the development of the formal Institute, it's very important the place of it in the legislative. The formal establishment of the Mediation in Georgia began in 2011. Over time, the issue of regulating the institution of Mediation has been changing, which is crowned with the current law of September 18, 2019 "On Mediation". The changes made by the law are quite important for the past stages of the Institution of Mediation and for the promotion, which will create a new practice. Since the law came into force on January 1, 2020, it is virtually impossible to analyze it in practice. However, in order to improve the research of the issue, its discussion should start from the very beginning of the existence of the institute, in order to assess the developmental stages in terms of correcting the shortcomings of the past. That is why the thesis changes of December 20, 2011 in the Civil Procedure Code of Georgia, which is the reason for establishment of a formal type of Mediation in Georgia. The chronological analysis of the laws reveals not only the stages of the development of Mediation, but also brings to light the integration of the Mediation in the Georgian legislation. The law creates the rules of conduct, and the variability of their actions in time determines the culture of the institution in the country.

To summarize, the present work is an informative excursion into time and the legislative space. The legislative acts and their assessment, reflected in one space, which created the Mediation in Georgia, provide a comprehensive picture of the institution, which may be aimed at discovering new ways of developing the field.

სარჩევი

შესავალი.....	8
1. მედიაციის ინსტიტუტის როლი დავის გადაწყვეტის მექანიზმების სისტემაში.....	11
1.1. მედიაცია, როგორც დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალება.....	11
1.2. მედიაციის არსი.....	17
ა) მედიაცია და მოლაპარაკება:.....	18
ბ) მედიაციის სამართლის სისტემატიზირების ძირითადი გამოწვევები:	20
გ) მედიაციის ძირითადი სახეები:	21
დ) მედიაციის პრინციპები:	25
ე) მედიატორის როლი მედიაციის პროცესში;	27
2. მედიაციის განვითარების ეტაპები საქართველოში „მედიაციის შესახებ“ 2019 წლის 18 სექტემბრის კანონის მიღებამდე.....	30
2.1. მედიაციის განვითარების ისტორია საქართველოში.....	30
2.2. სასამართლო მედიაციის განხილვა 2019 წლის 18 სექტემბრის საკანონმდებლო ცვლილებებამდე.....	32
3. „მედიაციის შესახებ“ კანონით შემოთავაზებული რეგულირება.....	41
3.1. გარდამავალი პერიოდი მედიაციის ახალ კანონამდე.....	41
3.2. მედიაციის პროცესის ფუძემდებლური პრინციპები ახალი კანონის მიხედვით.....	44
ა) ნებაყოფლობითობის პრინციპი:	45
ბ) თვითგამორკვევის პრინციპი:	46
გ) კეთილსინდისიერების პრინციპი:.....	47
დ) თანასწორობის პრინციპი:	49
ე) კონფიდენციალურობის პრინციპი:	49
ვ) დამოუკიდებლობის და მიუკერძოებლობის პრინციპი:.....	51
3.3. კანონით მიღებული ცვლილებების შეფასება.....	52
ა) კანონი „მედიაციის შესახებ“ და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი	53
ბ) სასამართლოს და მოსამართლის როლის გაზრდა მედიაციის განვითარებაში.....	59
4. დასკვნა.....	65
ბიბლიოგრაფია.....	67

შესავალი

მედიაციის ინსტიტუტს მრავალი დადებითი მხარე აქვს, განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ მას ახასიათებს კონფლიქტის ინდივიდუალურობაზე მორგებული დავის გადაჭრის ხერხი, რომელიც ებრძვის დავის არსებობას და ხელს უწყობს მხარეთა მომავალი ურთიერთობის შენარჩუნებას. დავის სახეობების თეორიულ დონეზე განსაზღვრა საკმაოდ რთულია, მით უმეტეს, რომ დავა შესაძლებელია კომპლექსური სახის იყოს. თუმცა, თამამად შეიძლება ითქვას, რომ არსებობს დავის კატეგორია, რომელიც მოითხოვს საგულდაგულოდ განხილვას, რადგან მისი გადაწყვეტის მექანიზმი არა მხოლოდ მისი „გადაწყვეტა“ შეიძლება იყოს, არამედ მისი აღმოფხვრა. ასეთ დროს საჭიროა გაანალიზდეს დავის საფუძვლები და კონკრეტულად ამ საფუძვლების განხილვა იყოს გზა დავის გადაჭრისთვის. ხშირად, ასეთი გაანალიზების პროცესის გარეშე დავის გადაწყვეტა მხოლოდ ფორმალურ დავალებას ასრულებას და რეალურად მხარეთა შორის რჩება გაურკვეველობა და საფუძვლები, რათა კიდევ წარმოიშვას გარკვეულ ეტაპზე დავა, ან ეს იყოს დასასრული მხარეთა ურთიერთობის. თუმცა, ეს უკანასკნელი როდი გულისხმობს, რომ ინსტიტუტი უნდა შეფასდეს, როგორც დავის გადაწყვეტის ერთადერთი გზა. მედიაციის ინსტიტუტი არ ცდილობს ჩაანაცვლოს დავის გადაწყვეტის სხვა საშუალებები. მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას მის მახასიათებელს და ქვეყნის რეგულირებაში მას თავისი ადგილი ჰქონდეს, როგორც ალტერნატიულ მექანიზმს, რომელიც სთავაზობს საზოგადოებას დავის გადაწყვეტის განსხვავებულ მიდგომას. მრავალფეროვნება ქმნის არჩევანს. საზოგადოებას უნდა ჰქონდეს საშუალება მიიღოს ეფექტური მომსახურება მართლმსაჯულების განხორციელების მხრივ. ზემოხსენებული არ ნიშნავს, რომ მხოლოდ მედიაციაა დავის ეფექტურად გადაწყვეტის საშუალება. რა თქმა უნდა, დავათა გარკვეული ნაწილისთვის ყველაზე ეფექტური საშუალება სამართალწარმოებაა ან არბიტრაჟი.

წინამდებარე თემა შეისწავლის მედიაციის ინსტიტუტის ინტეგრირებას საქართველოს საკანონმდებლო სივრცეში. საკითხის აქტუალობა გამომდინარეობს იქიდან, რომ მედიაცია საქართველოში ჯერ კიდევ სიახლეა. ფორმალური თვალსაზრისით მისი ჩამოყალიბება

დაიწყო 2011 წლიდან და ჯერ კიდევ მიმდინარეობს. საინტერესოა, როგორ ხორციელდება მისი ინტეგრირება საქართველოს საკანონმდებლო სივრცეში და რა ნაბიჯები გაიარა მან დღევანდელ დღემდე. აღიარებულია, რომ პრაქტიკა არის საშუალება თეორიული ხარვეზების გამოსავლენად. შესაბამისად, მედიაციის ინსტიტუტის დანერგვიდან დღემდე განხორციელებული ცვლილებები საინტერესოა, ავსებს თუ არა დადგენილ ხარვეზებს. 2019 წლის 18 სექტემბერს მიღებულია საქართველოს კანონი „მედიაციის შესახებ“, რომელიც სიახლეა საქართველოში. კერძოდ, მისი მთავარი გარდატეხის წერტილი კანონის მეშვეობით კერძო მედიაციის დანერგვას უკავშირდება. აღსანიშნავია, რომ საქართველოში 2012 წლიდან მოქმედებდა სასამართლო მედიაცია მხოლოდ, რამაც არც თუ ისე დიდი წარმატებით იმუშავა. თუმცა, მოგვცა პრაქტიკის ანალიზის საშუალება. თემაში მოცემულია მედიაციის ინსტიტუტის რეგულირება, იმგვარად რომ შესაძლებელი იყოს საერთო ჯამში აღვიქვათ მედიაციის საქართველოში არსებობის და განვითარების ეტაპების ნათლად დანახვა და გააზრება.

მოცემული საკითხის შესწავლისას ეფექტურია როგორც დედუქციური, ასევე ინდუქციური მიდგომა, რომელიც საბოლოო ჯამში ქმნის შესაძლებლობას, არა მარტო არსებული პრაქტიკის გაანალიზების შესაძლებლობას, არამედ შესაძლებელია სამომავლო პერსპექტივების და საჭიროებების დანახვაც.

წამრომის მოიცავს ზოგადად დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების არსებობის შესახებ გარკვეულ ინფორმაციას, რომელიც მჭიდროდ დაკავშირებულია თემის კვლევის მთავარ საგანთან, მედიაციასთან. დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების ნუსხაში მედიაციის არსებობა არ არის ერთადერთი მიზეზი, რომელიც მჭიდრო კავშირს ქმნის არამედ საინტერესოა, რატომ არის მედიაციის ინსტიტუტი ამგვარად გამორჩეული სხვა მეთოდებისგან. საგნის კვლევა არაფრის მომცემია, თუ არ იქნება განხილული მისი ძირითადი პრინციპები, რომელთა საფუძველზე ხდება მისით სარგებლობა ან რესტრუქტურირება. აქედან გამომდინარე, თემაში თავისი ადგილი უჭირავს მედიაციის ძირითად პრინციპებს, როგორც ზოგადი სახით ასევე დღეისთვის

საქართველოს მაგალითზე არსებული სტანდარტით. როდესაც ეს ყველაფერი ქმნის შთაბეჭდილებას მედიაციის ინსტიტუტზე საინტერესო ხდება მისი წარმომავლობა. კვლევის საგნიდან გამომდინარე, შესწავლილია საქართველოში მედიაციის ინსტიტუტის დასაბამი და წარმოჩენილი იგი განგრძობითი სახით დღევანდლამდე. კერძოდ, მნიშვნელოვანია ის ფაქტორი რომ მედიაციას საქართველოს კულტურაში დიდი ისტორია აქვს, რომლის განვითარებას ხელი შეეშალა და მრავალწლიანმა დესტრუქტურიზაციამ შედეგად გამოიღო ის, რომ მედიაციის ინსტიტუტი დღეს სიახლეს წარმოადგენს. თემაში შემოთავაზებულია, 2011 წლიდან მედიაციის დანრგვის და კანონმდებლობაში მოწესრიგების რეგულაციების განხილვა, რათა ქმნიდეს კონტრასტს 2019 წლის სიახლეებთან მიმართებაში. აქვე გასათვალისწინებელია, რომ მედიაციის არამხოლოდ ფორმალურ მოწესრიგებას აქვს დიდი დატვირთვა, არამედ მისი მუშაობის ეფექტურობის ამაღლებაზე ზრუნვას. ნაშრომში ნათლად, ჩანს რამდენად განაპირობა 8 წლიანმა პრაქტიკამ მოსალოდნელ შედეგად წარმატებული და პოპულარიზებული ინსტიტუტი და რა იყო ამისთვის ხელის შემშლელი ფაქტორი. ამას გარდა, ნაშრომი დროში მოგზაურობას განაგრძობს და განხილულია საქართველოს მედიაციის ისტორიაში დღეისთვის საუკეთესო სიახლე. კერძოდ, განხილულია მედიაციის შესახებ კანონის რეგულაციები, რომელიც შედარების საშუალებას იძლევა წარსულში მოქმედ რეგულაციებთან და მკითხველს შეუძლია თავადაც აღმოაჩინოს რა საერთო და რა განსხვავებები აქვთ მათ ერთმანეთთან.

წინამდებარე ნაშრომის მიზანი არის წარმოაჩინოს მედიაციის დადებითი მხარეები და მისი მნიშვნელობა, მისცეს მკითხველს საშუალება წარმოადგენა შეექმნას საქართველოში მედიაციის ინსტიტუტის არსებობის და განვითარების ეტაპებზე და მათ სამართლებრივ მოწესრიგებაზე. თემის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს სრული წარმოდგენა შეუქმნას მედიაციაზე მის გულშემატკივრებს, რომელთაც სურთ თავიანთი წვლილი შეიტანონ მედიაციის განვითარებაში და მიეცეთ საშუალება გაანალიზონ, როგორ არის იგი

მოწესრიგებული სტრუქტურულად და განსაზღვრონ რა საჭიროებებია ინსტიტუტის განვითარებისთვის.

1. მედიაციის ინსტიტუტის როლი დავის გადაწყვეტის მექანიზმების სისტემაში

1.1. მედიაცია, როგორც დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალება ადამიანთა შორის ყველაზე დიდ მანძილს ქმნის მათ შორის არსებული გაუგებრობა, რომელიც ხშირად დავის საგანი ხდება. აზრთა სხვადასხვაობა იშვიათად თუ არის ურთიერთმიმზიდველი და მისაღები მხარეთათვის. სოციალური ურთიერთობებს ყოველთვის აქვს დავის და თანმდევი ემოციების გამომწვევი საფუძველი. ხშირად ასეთ საფუძველზე შესაძლებელია მოვლენილ იქნას საოჯახო, სამეზობლო, პირადული თუ პროფესიული ურთიერთობები. აქედან გამომდინარე, ხშირად კონფლიქტი ემოციების მატარებელია, რომელიც თუნდაც არა ურთიერთობის სახეობიდან არამედ ადამიანის ეგოდან გამომდინარეობდეს. ემოციებს კი სჭირდება გამოვლენა და იდენტიფიცირება, რომელიც შესაძლებელია მორიგების წინაპირობაც გახდეს. ადამიანები დავის გადაწყვეტის საშუალებად თითქმის ყოველთვის სასამართლოს მოიაზრებენ. ფაქტია, სასამართლო პროცედურები დაგროვებული ემოციების გამოვლენის საშუალებას ნაკლებად იძლევა მისი ფორმალური სახიდან გამომდინარე. შესაბამისად, მოსამართლე აქცენტს არა ემოციებზე, არამედ საქმის ფორმალურ განხილვაზე და შეფასებაზე აკეთებს.¹

ჯონ ელსტერ² წერდა „ყველაზე მარტივად, ემოციებს ენიჭება დიდი მნიშვნელობა, რადგან რომ არა ისინი, არაფერი მოხდებოდა. ქმნილებას, რომელსაც არ აქვს ემოცია, შესაბამისად, არ აქვს მიზეზი სიცოცხლისთვის და სუიციდისთვის. ემოციები არის საგნები,

¹ მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივები საქართველოში, დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი, (თბილისი, 2013), გვ.14.

² ჯონ ელსტერი - ნორვეგიელი სოციოლოგი და პოლიტიკური თეორიტიკოსი, რომელიც მუშაობდა სოციალური მეცნიერებების ფილოსოფიაზე და რაციონალური არჩევანის თეორიაზე;

რომლისგანაც შედგება ჩვენი ცხოვრება. ემოციები არის ყველაზე მნიშვნელოვანი მაკავშირებელი ბორკილები, რომელიც გვაერთიანებს.“³

პიროვნებისადმი ან/და პიროვნების სუბიექტური აზრის ფორმირების მიმართ დამოკიდებულება შესაძლებელია იწვევდეს ემოციებს. აზრთა სხვადასხვაობა იწვევს კონფლიქტებს, რომელიც შემდგომ საჭიროებს მოწესრიგებას. როგორც ასეთი, კონფლიქტი ნორმალური, თანმდევი და გარდაუვალია. ის ზოგჯერ სასარგებლოც არის, რადგან რთულია გააზრებულ იქნას სიტუაცია, სადაც კონფლიქტი არ არის.⁴ სხვაგვარად რომ ითქვას, კონფლიქტი შესაძლებელია იყოს გასაღები იმ პრობლემისთვის, რომლის გადაჭრაც და ამოხსნაც შესაძლებელია. ვინაიდან კონფლიქტის „თავიდან აცილება“ შეუძლებელია, აუცილებელია მისგან სარგებლის მიღება და მისი მართვის სწავლა.“⁵

სამართლის სფეროში წინასწარ შემუშავებული კანონმდებლობა იარაღია მომავალში წარმოშობილი დავის გადაწყვეტისთვის და პრევენციისთვის. თუ კი ემოციის და კონფლიქტის მიზეზობრივ კავშირს გავიაზრებთ, მივხვდებით რომ ხშირ შემთხვევაში დავის სასამართლოს გზით გადაწყვეტა არ არის საუკეთესო გამოსავალი. ამას ისიც ადასტურებს, რომ სასამართლო დარბაზს დავის ერთი მხარე ყოველთვის უკმაყოფილო ტოვებს, რაც საბოლოო ჯამში დავის აღმოფხვრას ყველაზე ნაკლებად იწვევს. საჭიროა მხარეთა შორის დიალოგის ხელშეწყობა, რომ დავა გაცილებით არ გამწვავდეს.⁶ სწორედ სასამართლოს სისტემის ხარვეზებს უკავშირდება დავის ალტერნატიული ხერხების

³ Elster J. Alchemies of the Mind; Rationality and the Emotions (United Kingdom, Press Syndicate of the University of Cambridge, 1999), p.403

⁴ Edited by Bercovitch J., Kremenyuk V., Zartman W., SAGE Handbook of Conflict Resolution, (Los Angeles, London, New Delhi, Washington DC, SAGA Publications 2009), p. 3;

⁵ ცერცვაძე გ., მედიაცია, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმა (ზოგადი მიმოხილვა), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მეთოდების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, (თბილისი, 2010), გვ. 22;

⁶ Ftika A., Med/Arb Models, Dissertation of under the guidance of Professor Apostolos Anthimos, School of Economics and Business Administration, LL.M. in Transnational and European Commercial Law and Alternative Dispute Resolution, (Thessaloniki, November 2013), p. 9;

სისტემატიზაცია, რადგან მსოფლიოს განვითარებასთან ერთად საჭიროება შეიქმნა დავის გადაწყვეტის ეფექტური მექანიზმის შემუშავების.⁷

დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები თავისი შინაარსით არ არის ნოვაცია, რადგან ისტორიაში ფიქსირდება ფაქტები, როდესაც საზოგადოება დავის გადაწყვეტის ისეთ მეთოდებს იყენებდა, რომელსაც საკმაოდ ბევრი საერთო აქვს დღეისთვის არსებულ დავის გადაწყვეტის მექანიზმებთან. მაგალითად, საერთაშორისო მედიაციის პრაქტიკული ისტორია ჩვენ წელთაღრიცხვამდე 3000 წელს ჯერ კიდევ უძველეს ეგვიპტეში, ბაბილონსა და ასურეთში იწყება, რომელსაც დიდი წვლილი მიუძღვის მედიაციის მეთოდოლოგიის განვითარებაში.⁸

მე-20 საუკუნის სამოციანი წლების დასაწყისში ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ნათლად დაინახა დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმების მიმართ ინტერესის გაღვივება. სწორედ ამ პერიოდს ახასიათებდა კონფლიქტები, დაპირისპირებები და მრავალი ფრონტის უკმაყოფილება, როგორებიც არის ვიეტნამის ომი, სამოქალაქო უფლებებისთვის ბრძოლა, სტუდენტური არეულობა, მომხმარებელთა ცნობიერების ამაღლება, გენდერული როლების გამოწვევები და რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ პროტესტები, მიმართული სტატუს კვოსადმი უნდობლობისკენ და სასამართლოს ხშირი საჭიროებისკენ.⁹ თუმცა, თანამედროვე მსოფლიოში დავის გადაჭრის ალტერნატიული ხერხების ფორმალური დამკვიდრების საწყისი მე-20 საუკუნის 70-იან წლებს

⁷ ცური მ., 2016, დავის ალტერნატიული გადაწყვეტა - კატასტროფის შედეგების სათანადო ლიკვიდაცია, დავის ალტერნატიული გადაწყვეტა, წელწდელი 2014, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ეროვნული ცენტრი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ.356;

⁸ ოქროპირიძე ბ., მედიაცია - სიახლე თანამედროვე ქართულ სამართალში და მისი განვითარების პერსპექტივა საერთაშორისო გამოცდილების საფუძველზე, 2013, დავის ალტერნატიული გადაწყვეტა, წელწდელი 2012, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ეროვნული ცენტრი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ.26

⁹ Folberg J., Development of Mediation Practice in the United States, 2015, p.36;

უკავშირდება, ამერიკის შეერთებულ შტატებში, „როგორც რეაქცია დროში გაწეილ და ძვირადღირებულ პროცესებზე“.¹⁰

„დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ხერხი“ („ADR“) აერთიანებს დავის გადაწყვეტის სხვადასხვა მექანიზმებს, თუმცა მათ შორის ყველაზე გავრცელებული მედიაციაა. განასხვავებენ დავის გადაწყვეტის სხვა ფორმებსაც, როგორებიცაა არბიტრაჟი, შერიგება, მოლაპარაკება და ა.შ. გასაზიარებელია *პრუტინგის* აზრი, რომელიც დავის გადაწყვეტის საშუალებებს ოთხ ძირითად ჯგუფად ყოფს: მოლაპარაკება, მედიაცია, შუამავლობა, კერძო და საჯარო მართლმსაჯულება.¹¹

ისტორიულად, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მეთოდი ბევრ წინააღმდეგობას შეეჩება, რომელიც დღესაც კი შეიმჩნევა ზოგიერთ ასპარეზზე. *რედფერნი (2011)* ამბობდა, დავის ზოგიერთი მხარე და იურისტი არ აღიარებს დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მეთოდების მუშაობას და ბევრმა მათგანმა თავიანთი პროფესიული ცხოვრება მხოლოდ სასამართლოს წარმოებაში გაატარა, რამაც მათში გამოიწვია დავის ალტერნატიული გადაწყვეტის მექანიზმებისადმი უკმაყოფილება მისი არაფორმალური და პროცედურული მკაცრი წესების ნაკლებობის გამო. ასევე, ზოგიერთი იურისტისთვის არაკომფორტულია კლიენტის აღნიშნულ მეთოდში თანადგომა, რაც ნიშნავს, რომ ისინი ვერ აცნობიერებენ კლიენტის შესაძლო ინტერესს და მასზე მორგებულ სტრატეგიას ალტერნატიული მეთოდებით დავის განხილვისას და ურჩევნიათ ისევ ნაცნობ ხერხს, სამართალწარმოებას, მიმართონ, რომელიც მათთვის გაცილებით კომფორტულია.¹²

თუმცა, მხარეებმა და სამართლის სისტემებმა დაიწყეს დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მეთოდის გამოყენება, რაც პირველი ნაბიჯი იყო დავის გადაჭრის

¹⁰ ცერცვაძე გ., მედიაცია, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმა (ზოგადი მიმოხილვა), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მეთოდების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, (თბილისი, 2010), გვ.49

¹¹ იქვე, გვ.88-89;

¹² Carneiro D., Novais P., Neve J., Conflict Resolution and its Context, From the Analysis of Behavioural Patterns to Efficient Decision-Making, Law, Governance and Technology Series N18, (Springer International Publishing Switzerland, 2014), pp.20-21;

ხერხების დამკვიდრებისაკენ. ზოგიერთ ქვეყანაში სავალდებულო სახეც მიიღო დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალების ზოგიერთი ფორმის გამოყენებამ, სანამ სასამართლოს მიმართავდნენ მხარეები. მაგალითად, აშშ-ში მრავალი საადვოკატო ფირმა და კომპანია ვალდებული გახდა მიემართა ჯერ დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალების რომელიმე ფორმისთვის, ხოლო შემდგომ სასამართლო განხილვისთვის.¹³

აქვე ხაზგასასმელია Uniform Mediation Act – კანონი მედიაციის შესახებ, რომელიც წარმოადგენს აშშ-ს მოდელურ კანონს და მიღებულია ეროვნულ კონფერენციაზე, 2011 წელს. ზემოხსენებული მოდელური კანონის 16 ნაწილიდან, მისი მეორე ნაწილი მედიაციის ზოგად საკითხებს ეხება, ხოლო მე-6 ნაწილი პრივილეგიის (“Privilege”) სტატუსის შინაარსს და მისი დაცვის ფარგლებს განსაზღვრავს.¹⁴ პრივილეგიის სტატუსი ზოგადად განიმარტება, როგორც განსაკუთრებული და სპეციფიური სარგებელი, ძალაუფლება, იმუნიტეტი ან უპირატესობა, რომლითაც სარგებლობს ადამიანი, ორგანიზაციული წარმონაქმნი ან რომელიმე ჯგუფი, სხვა მოქალაქეებთან შედარებით უპირატესი უფლებამოსილების ფარგლებში.¹⁵

რაც შეეხება ევროპას, 1999 წლის ოქტომბრის თვეში ქალაქ ტემპერში გამართულ კონფერენციაზე ევროპის საბჭომ წევრ ქვეყნებს მოუწოდა სამართალწარმოების ალტერნატიული საშუალებების დანერგვისკენ. ამის შემდგომ, 2000 წლის მაისის თვეში ევროსაბჭომ გადაწყვეტილება მიიღო სამოქალაქო და კომერციულ დავებზე ემუშავა ალტერნატიული მეთოდებით. ევროპის საბჭოს კომისიამ 2002 წლის აპრილში მწვანე წიგნი (Green Paper) წარმოადგინა, რომელიც ეხებოდა სამოქალაქო და კომერციულ სამართალში

¹³ Carneiro D., Novais P., Neve J., Conflict Resolution and its Context, From the Analysis of Behavioural Patterns to Efficient Decision-Making, Law, Governance and Technology Series N18, (Springer International Publishing Switzerland, 2014), pp.21

¹⁴ მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივები საქართველოში, დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი, (თბილისი, 2013), გვ.40-41

¹⁵ Black H.C., Nolan J.R., Nolan-Haley J. M., BLACK’S LAW DICTIONARY, Sixth Edition (USA, 1990), p. 1197;

დავის გადაჭრის გზებს, არსებულ გარემოებებსა და რეკომენდაციებს ევროპის სახელმწიფოებისათვის.¹⁶

2008 წლის 21 მაისს ევროპის პარლამენტმა მიიღო დირექტივა, რომელსაც თანამედროვე მედიაციის განვითარებაში დიდი წვლილი მიუძღვის.¹⁷ დირექტივის მიზანი იყო ევროპარლამენტის საბჭოს მიერ სამოქალაქო სამართლსა და კომერციულ დავებში დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმის, მედიაციის გამოყენების წახალისება.¹⁸ კერძოდ, დირექტივა ევროპის წევრ სახელმწიფოებს ავალდებულებდა 2011 წლის მაისის ჩათვლით გაეტარებინათ საკანონმდებლო რეფორმები და დაემკვიდრებინათ დავის გადაჭრის ალტერნატიული საშუალება, დირექტივაში მოცემულ სტრუქტურასთან შესაბამისობით.¹⁹ თუმცა დირექტივა, თავის მხრივ, წევრ ქვეყნებს არ ზღუდავდა აღნიშნული საკითხები დარეგულირებინათ შიდა რეგულაციებთან შესაბამისობით,²⁰ რაც ასევე გამოიხატებოდა იმაში, რომ წევრი ქვეყნები თავად აირჩევდნენ მედიაციის რომელ სახეობას განავითარებდნენ თავიანთ სამართლებრივ სისტემაში.²¹

¹⁶ მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივები საქართველოში, დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი, (თბილისი, 2013), გვ.44;

¹⁷ ოქროპირიძე ბ., მედიაცია - სიახლე თანამედროვე ქართულ სამართალში და მისი გავითარების პერსპექტივა საერთაშორისო გამოცდილების საფუძველზე, 2013, დავის ალტერნატიული გადაწყვეტა, წელწდეული 2012, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ეროვნული ცენტრი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ.29;

¹⁸ Carneiro D., Novais P., Neves J., Conflict Resolution and its Context, From the Analysis of Behavioural Patterns to Efficient Decision-Making, Law, Governance and Technology Series N18, (Springer International Publishing Switzerland, 2014), p.21

¹⁹ Ali Khaled Ali Qtaishat, Hiyam Mah'd Harb Alshawabkeh, Hanadimahamoud Tawfek Salh, European Journal of Scientific Research, ISSN 1450-216X / 1450-202X Vol. 148 No 3 February, 2018, <http://www.europeanjournalofscientificresearch.com>, European Union Directive on Mediation: Assessing the Developments and Challenges, p.387;

²⁰ იქვე, 387

²¹ ოქროპირიძე ბ., მედიაცია - სიახლე თანამედროვე ქართულ სამართალში და მისი გავითარების პერსპექტივა საერთაშორისო გამოცდილების საფუძველზე, 2013, დავის ალტერნატიული გადაწყვეტა, წელწდეული 2012, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ეროვნული ცენტრი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ.29

1.2. მედიაციის არსი

მედიაცია დავის გადაწყვეტის ერთ-ერთი მეთოდია²², რომელიც ხშირად მოიაზრება, როგორც „მოსამზადებელი“, საცდელი ეტაპი, რომელიც წინ უძღვის სასამართლო ან საარბიტრაჟო პროცესებს.²³ მისი ბუნების მრავალფეროვნების გამო, გამოირჩევა მისთვის ერთი ყოვლისმომცველი და უნივერსალური განმარტების ჩამოყალიბება, რის გამოც ის ხშირად შეირაცხა, როგორც „ბუნდოვანი და გაურკვეველი“ ინსტიტუტი. სწორედ ამის გამო მას მოიხსენიებენ, როგორც დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ საშუალებას განსხვავებული მოდელებისთვის.²⁴

მედიაცია შემოქმედებითი პროცესია და დაკავშირებულია მრავალ აკადემიურ დისციპლინასთან, როგორებიცაა: სამართლის თეორია, ეკონომიკა და ფსიქოლოგია. მედიაციის წარმოებისას ყველაზე დიდი გამოწვევაა მრავალფეროვანო და ინტერდისციპლინარული ცოდნის გამოყენების დახელოვნება არსებული დავის გადაწყვეტის სისტემაში ან/და კონკრეტულ დავაში.²⁵

ევროპარლამენტის და ევროსაბჭოს 2008 წლის 21 მაისის 2008/52/EC დირექტივის მე-3 მუხლი მედიაციას განმარტავს შემდეგნაირად: მედიაცია ნიშნავს სტრუქტურირებულ პროცესს, შემდგომში წოდებული ან მოხსენიებული, როგორც ორი ან მეტი დავის მხარის მიერ საკუთარი ნებით, ნებაყოფლობით შეთანხმების მიღწევის მცდელობა, მათ შორის, დავის გადაჭრის გზით, რომელშიც დახმარებას გაუწევს მედიატორი. მედიაციის პროცესი შესაძლებელია ინიცირებული იყოს როგორც დავის მხარეების მიერ, ასევე შეთავაზებული ან სავალდებულო იყოს სასამართლოს ან წევრი ქვეყნის (იგულისხმება ევროკავშირის წევრი ქვეყანა და აღნიშნულ დირექტივაში გამონაკლისს წარმოადგენს დანია) შიდა

²² მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივები საქართველოში, დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი, (თბილისი, 2013), გვ.12

²³ ცერცვაძე გ., მედიაცია, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმა (ზოგადი მიმოხილვა), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მეთოდების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, (თბილისი, 2010), გვ..25;

²⁴ იქვე, გვ.25-26;

²⁵ Rozdeiczer L., Alvarez de la Campa A., Alternative Dispute Resolution Manual: Implementing Commercial Mediation, Small and Medium Enterprise, (USA, Nov 2006), p. 8;

კანონმდებლობით. ზემოაღნიშნული ასევე მოიცავს მედიაციის ნაირსახეობასაც, რომელშიც მოსამართლე მედიატორის როლს ირგებს და შესაბამისად, არ არის პასუხისმგებელი დავასთან დაკავშირებულ ნებისმიერ სასამართლო პროცედურაზე. იგი გამორიცხავს მოსამართლის მიერ დავის სასამართლოს პროცედურული გზით გადაწყვეტისკენ წახალისების მცდელობას.²⁶

სხვადასხვა ქვეყნის მიდგომა მედიაციის არსისასდმი განსხვავებულია. მაგალითად, აშშ-ში დავის გადაჭრის მექანიზმები ძირითადად იყოფა სასამართლო და არასასამართლო სახეებად, რომლებიც მოიაზრებს დავის გადაჭრის ალტერნატიულ ხერხებს, სადაც ერთიანდება მედიაცია, არბიტრაჟი და მოლაპარაკება. გერმანელი იურისტების გარკვეული ნაწილის აზრით, „მედიაცია გულისხმობს ინტერესებს პრეტენზიების ნაცვლად“, რაც მათ მიდგომას გამოხატავს მედიაციის ინსტიტუტისადმი. აღსანიშნავია, რომ შვეიცარიაში მედიაციის ცნებისგან განაცალკევებს მისი დამახასიათებელი ნიშნები და პრინციპები. საფრანგეთში, კანონმდებელმა სასამართლო პრაქტიკაზე დაყრდნობით მედიაციის განმარტება შეფასებითი სახის მედიაციაზე დაამყარა, რომელიც მოიაზრებდა, რომ მედიაციისას მედიატორმა, ნეიტრალურმა მესამე პირმა მხარეთა მოსმენის საფუძველზე უნდა წარუდგინოს მხარეებს სადავო საკითხებთან მიმართებით მოსაზრებები და ამ გზით დაეხმაროს მათ კონფლიქტის შეთანხმების გზით დასრულებაში. ინგლისი მედიაციის განმარტებას გაცილებით მარტივად მიუდგა და ჩამოაყალიბა, რომ მედიაციისას მესამე ნეიტრალური პირი დავის მხარეებს ეხმარება დავის შეთანხმების გზით გადაწყვეტაში.²⁷

ა) მედიაცია და მოლაპარაკება:

მედიაცია თავისი არსით და ბუნებით თავის თავში მოიცავს მოლაპარაკების პროცესს, უფრო მეტიც მედიაცია განიხილება, როგორც სტრუქტურირებული მოლაპარაკების

²⁶ Directive 2008/52/EC of The European Parliament and of the Council of May 21, 2008, on certain aspects of mediation in civil and commercial matters, Article 3;

²⁷ ცერცვაძე გ., მედიაცია, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმა (ზოგადი მიმოხილვა), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მეთოდების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, (თბილისი, 2010), გვ.26-27;

პროცესი, რომელსაც ხელს უწყობს მესამე ნეიტრალური პირი, მედიატორი.²⁸ როჯერ ფიშერ²⁹ და უილიამ არი³⁰ თავიანთი პრაქტიკული გამოცდილების საფუძველზე ერთად მუშაობდნენ წიგნზე „Getting To Yes“, რომელიც დაიწყო კითხვით, თუ რა არის საუკეთესო გზა ადამიანებისთვის, რათა მიიღონ თავიანთი ურთიერთ განსხვავებები. სწორედ აქედან დაიწყო ფიქრი თუ რა იყო ყოველდღიურ ცხოვრებაში ბარიერი, რაც ადამიანებს ხელს უშლიდა ერთმანეთი შეთანხმებამდე მიეყვანათ, რათა ომი არ გაჩაღებულიყო.³¹ მოლაპარაკება ყოველდღიურობის ნაწილია, რომლის მართვაც გასაღებია სასურველ და პოზიტიურ შედეგამდე. ხშირად, ადამიანებს არ შესწევთ ძალა რაციონალურად იფიქრონ დავის მიმდინარეობისას და ნაბიჯი გადადგან მოლაპარაკებისკენ ან უშუალოდ მოლაპარაკებაში იმოქმედონ თავიანთი ემოციების და ეგოს მიღმა. მხარეთა პოზიციით შესაძლებელია მათი ეგოს იდენტიფიცირება. ამიტომ, მოლაპარაკების ყველაზე გავრცელებული და მისაღები ფორმა დამოკიდებულია თანმიმდევრულ მოლაპარაკებაზე და შემდგომ მხარეთა შორის პოზიციების ურთიერთ დათმობაზე.³² საჭიროა მხარეთა შორის დიალოგის ხელშეწყობა, რომ დავა გაცილებით არ გამწვავდეს,³³ რომელსაც სწორედ მედიაციის ინსტიტუტი უზრუნველყოფს.

²⁸ ცერცვაძე გ., მედიაცია, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმა (ზოგადი მიმოხილვა), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მეთოდების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, (თბილისი, 2010), გვ. 26;

²⁹ როჯერ ფიშერი - ჰარვარდის უნივერსიტეტის ლექტორი მოლაპარაკების მეთოდების საგანში, სამართლის ლექტორი და ჰარვარდის უნივერსიტეტის მოლაპარაკების შესახებ პროექტის დირექტორი.

³⁰ უილიამ არი - კონსულტანტი, მწერალი და ლექტორი მოლაპარაკების მეთოდებში და მედიაციის საგანში. ჰარვარდის უნივერსიტეტის მოლაპარაკებების ქსელის დირექტორი და ჰარვარდის მოლაპარაკების შესახებ პროექტის ასოცირებული დირექტორი.

³¹ Fisher R., Ury W., with Edit. Patton B., Getting To Yes, Negotiating Agreement Without Giving In, Second Edition by Fisher, Ury and Patton, Random House Business Books, (USA, 1992), p.2;

³² იქვე, pp. 7-8;

³³ Ftika A., Med/Arb Models, Dissertation of under the guidance of Professor Apostolos Anthimos, School of Economics and Business Administration, LL.M. in Transnational and European Commercial Law and Alternative Dispute Resolution, (Thessaloniki, November 2013), p. 9;

ბ) მედიაციის სამართლის სისტემატიზირების ძირითადი გამოწვევები:

მედიაციის განვითარებამ შედაგად გამოიწვია მისი სამართლებრივი ინტეგრაცია,³⁴ რაც სამართლის სიტემას მრავალფეროვნებას განაპირობებს. თუმცა ზემოაღნიშნული არ უნდა იყოს გაგებული, როგორც მედიაციის მართლმსაჯულების სისტემასთან სინთეზი, ისე რომ მან დაკარგოს ნიშან-თვისებები, რომლითაც ის განსხვავდება სასამართლოსგან ან არბიტრაჟისგან. გაჩნდა საფრთხე, რომ მართლმსაჯულების სისტემა შთანთქავდა მედიაციას, თავისი აბსოლუტურად განსხვავებული მახასიათებლების გამო, როგორებიცაა, მაგალითად ნებაყოფლობითობის პრინციპი, მედიატორის დამხმარე და არა გადაწყვეტილების მიმღები პირის როლი, კონფიდენციაურობის პრინციპი და სხვა. იურიდიულ პრაქტიკაში მრავლადაა შეჯიბრებითობის ნიშნები, რომელიც დავის განხილვის მიღმა იწყება კლიენტის მოპოვებით, შენარჩუნებით და საბოლოოდ შეჯიბრებითობის პრინციპზე დაყრდნობით მართული პროცესით.³⁵ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მედიაციისას მხარეები შეზღუდულნი არიან იფიქრონ თავიანთ იურიდიულ ინტერესებზე, მაგრამ ისინი მედიაციისას წახალისებულნი არიან, იფიქრონ არსებული პრობლემების მიღმა.³⁶ ამ ასპექტში ყველაზე მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ მედიაციისას შეჯიბრებითობის პრინციპის გამოყენება შეუძლებელს ხდის დავის მოლაპარაკების გზით გადაწყვეტის შესაძლებლობას. აქედან გამომდინარე, თუ მხარეთა შორის კომუნიკაცია შეჯიბრებითობის პრინციპზე იქნება აგებული, ეს გამოიწვევს მედიაციის ყველაზე მნიშვნელოვანი თვისების აღმოფხვრას, რაც შედეგად ინტიტუტების მეთოდოლოგიების აღრევას მოგვცემს და დაამსგავსებს დავის გადაწყვეტის სხვა ხერხებს, როგორც არის მაგალითად, სასამართლო, სადაც დავა განიხილება მკაცრად

³⁴ კიმბერლი კ. კოვაკი, ახალი ღვინო საჭიროებს ახალ რვინის ჭურჭელს: ტიკი-რომელიც დამზადებულია ცხოველის ტყავისგან; იურისტის ეთიკის გარდაქმნა, რათა მან შეჯიბრებითობის გამორიცხვით შეძლოს პრობლემის გადაჭრა: მედიაცია (მედიატორობა), ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი, წელიწადული 2012, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, გვ. 140;

³⁵ იქვე, 148;

³⁶ Ftika A., Med/Arb Models, Dissertation of under the guidance of Professor Apostolos Anthimos, School of Economics and Business Administration, LL.M. in Transnational and European Commercial Law and Alternative Dispute Resolution, (Thessaloniki, November 2013), p.9;

განსაზღვრული პროცედურებით მხარეთა პაექრობით და მეტოქეობით.³⁷ მედიაციის მთავარი იდეა არც დავის განხილვის ალტერნატიული საშუალების უზრუნველყოფაა და არც ფორმალური სამართლის სისტემების ჩანაცვლება. მედიაციის მიზანია, შეავსოს სასამართლო სისტემის მასშტაბები ისე, რომ მხარეებს შეეძლოთ მათ შორის არჩევა. თუმცა აღნიშნული არჩევანი არ უნდა იყოს ექსკლუზიური.³⁸

როგორც ამერიკაში მოღვაწე მედიატორმა, *ლუკას როზდაიზერი*³⁹ განმარტა, მედიაცია ზოგჯერ „სასამართლოს ჩრდილში“ მყოფ საშუალებას წარმოადგენს, რაც გულისხმობს იმას, რომ სასამართლო იქნება ალტერნატივა იმ შემთხვევაში, თუ მხარეები ვერ მიაღწევენ შეთანხმებას მედიაციისას (როზდაიზერი, 2016).⁴⁰

გ) მედიაციის ძირითადი სახეები:

მედიაციის სახეებად დაყოფის საფუძველი მისი პროცესის მახასიათებლებიდან გამომდინარეობს. დავის კატეგორიზაცია რთულია, მაგრამ შესაძლებელია, როგორც მაგალითად, ამას მოიცავს იურისპრუდენცია. კონფლიქტი არის სოციალური ფენომენი, რომელსაც აყალიბებს და ეხმარება მრავალი ფსიქოლოგიური ფაქტორი. აქედან გამომდინარე, ძალიან მნიშვნელოვანია მის მიმართ დამოკიდებულების ფორმირება.⁴¹ მედიაცია პროცესია, რომელიც ორიენტირებულია კონკრეტული პრობლემის გადაჭრაზე და არა „დარეგულირებაზე“. ხშირ შემთხვევაში მედიატორი ეძიება დავის შინაარსს, რომელიც შესაძლოა საკმაოდ კომპლექსური იყოს და, შესაბამისად, ეძებს მხარეთა შორის

³⁷ კიმბერლი კ. კოვაკი, ახალი ღვინო საჭიროებს ახალ რვინის ჭურჭელს: ტიკი-რომელიც დამზადებულია ცხოველის ტყავისგან; იურისტის ეთიკის გარდაქმნა, რათა მან შეჯიბრებითობის გამორიცხვით შეძლოს პრობლემის გადაჭრა: მედიაცია (მედიატორობა), ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი, წელიწადეული 2012, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, გვ. 46;

³⁸ Rozdeiczer L., Alvarez de la Campa A., *Alternative Dispute Resolution Manual: Implementing Commercial Mediation, Small and Medium Enterprise*, (USA, Nov 2006), p. 1;

³⁹ Lukasz Rozdeiczer - მედიატორი, არბიტრი, კონსულტანტი და მოლაპარაკების, დავის გადაჭრის და კომერციულ ტრანზაქციების მეთოდებში ტრენერი. ჯორჯთაუნის უნივერსიტეტის და ჰარვარდის სამართლის სკოლის პროფესორი.

⁴⁰ Rozdeiczer L., Alvarez de la Campa A., *Alternative Dispute Resolution Manual: Implementing Commercial Mediation, Small and Medium Enterprise*, (USA, Nov 2006), p. 14;

⁴¹ Edited by Bercovitch J., Kremenyuk V., Zartman W., *SAGE Handbook of Conflict Resolution*, (Los Angeles, London, New Delhi, Washington DC, SAGA Publications 2009), p. 8;

უთანხმოების განმსაზღვრელ საწყის კვანძს, რათა ხელი შეუწყოს დავის გადაწყვეტას მის წარმომშვებ მიზეზების აღმოფხვრით. ამასთან ერთად, იმის გათვალისწინებითაც, რომ არ არსებობს მედიაციის ჩატარების უნივერსალური ფორმა, მედიატორის მიდგომა და ტექნიკა კონფლიქტის მიმართ ფორმირდება დავის ინდივიდუალური ნიშნებიდან, მხარეების და დავის სპეციფიკიდან გამომდინარე.⁴² თუმცა, რა ფორმისაც არ უნდა იყოს მედიაცია, მნიშვნელოვანია ის იყოს რაციონალური და ადამიანური, რადგან დავა ადამიანთა შორის ურთიერთობას ეხება.⁴³

დროთა განმავლობაში გამოიკვეთა მედიაციის სამი ძირითადი სახე, კერძოდ: „ხელშემწყობი“, „შეფასებითი“ და „გარდაქმნითი“.⁴⁴ მედიაციისას „ხელშემწყობი“ სტილი ბევრისთვის გაცილებით მიმზიდველია, რადგან ის შეთანხმებისთვის მისაღწევად გაცილებით მარტივი და ეფექტურია, დავის მხარეთა ინტერესებზე დაყრდნობით ხელშემწყობი სტილით წარმოებული მედიაცია.⁴⁵ შეფასებითი მედიაცია, ფაქტობრივად კარგავს მედიაციის სახეს, რადგან ფოკუსირებულია დავის მხარეთა ძლიერ და სუსტ მხარეებზე. მედიაციის ამ სტილით განხილვისას მედიატორი ცდილობს მორიგების მიღწევას ფაქტობრივი გარემოებების შეფასებით, მხარეთა უფლებებსა და სამართლიანობაზე დაყრდნობით. სხვაგვარად რომ ითქვას, მედიატორი მორიგების აქტის გაფორმებისას ითვალისწინებს საქმის სასამართლოს გზით განხილვის შემთხვევაში პოტენციურ/მოსალოდნელ შედეგებს. რაც შეეხება გარდაქმნით მედიაციას, იგი მეტად ორიენტირებულია მხარეთა ტრანსფორმირებაზე, ვიდრე მხარეთა მორიგებაზე.

⁴² წულაძე ალ., სასამართლო მედიაციის ქართული მოდელი ევრო-ამერიკულ პრიზმაში, სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, უნივერსიტეტის გამომცემლობა, (თბილისი, 2016 წ.), გვ.43;

⁴³ ცერცვაძე გ., მედიაცია, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმა (ზოგადი მიმოხილვა), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მეთოდების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, (თბილისი, 2010), გვ. 99;

⁴⁴ წულაძე ალ., სასამართლო მედიაციის ქართული მოდელი ევრო-ამერიკულ პრიზმაში, სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, უნივერსიტეტის გამომცემლობა, (თბილისი, 2016 წ.) გვ.43;

⁴⁵ ცერცვაძე გ., მედიაცია, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმა (ზოგადი მიმოხილვა), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მეთოდების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, (თბილისი, 2010), გვ. 100;

მედიატორი ცდილობს, დაეხმაროს მხარეებს ინტერესების გათვალისწინებაში და ამიტომ იგი უფრო „აღიარებითი“ პროცესია, რომელიც მიმართულია მომავალი ურთიერთობების პოზიტიურად წარმართვაზე.⁴⁶

ზემოაღნიშნულთა გარდა მედიაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფორმაა ინდივიდუალური შეხვედრების მეშვეობით წარმართული მედიაცია (ე.წ. Caucus-Overhandling). ამ დროს მედიაცია მიმდინარეობს მხარეებთან ცალ-ცალკე შეხვედრებით და, შესაბამისად, მედიატორი არის შუამავალი, რომელიც მხარეებისგან მიღებულ ინფორმაციას ცვლის ერთმანეთთან ინდივიდუალური შეხვედრების საშუალებით.⁴⁷

ასევე შესაძლებელია მედიაციის უძღვებოდეს ერთზე მეტი მედიატორი, რომლის სახელი დამკვიდრდა, როგორც თანამედიაცია (ე.წ. Co-Mediation). აღნიშნული ფორმა მედიატორთა სოლიდარულ პასუხისმგებლობას განაპირობებს პროცესის წარმართვაზე.⁴⁸

ასევე მედიაციის სახეებად დაყოფისას მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას, იმ გარემოებას, რომ ის მიეკუთვნება დავის ალტერნატიული გადაწყვეტის არამბოჭავ ფორმას, მოლაპარაკების და შერიგების (Conciliation), პროცედურასთან ერთად, რადგან მედიაციის შედეგი დამოკიდებულია მონაწილე მხარეთა, ნებაყოფლობით, ერთობლივ შეთანხმებაზე. მაგალითად, არბიტრაჟი შესაძლებელია იყოს მბოჭავი და არამბოჭავი ფორმით, რადგან მბოჭავი არბიტრაჟის დროს მხარეებმა უნდა შეასრულონ მესამე მხარის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, მიუხედავად იმისა, ეთანხმებიან თუ არა მას და მოსწონთ თუ არა მისი შედეგები. ხოლო არამბოჭავი არბიტრაჟის დროს, არბიტრის გადაწყვეტილება შესაძლებელია გასაჩივრდეს.⁴⁹ ტერმინები მედიაცია - „Mediation” და შერიგება -

⁴⁶ წულაძე ალ., სასამართლო მედიაციის ქართული მოდელი ევრო-ამერიკულ პრიზმაში, სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, უნივერსიტეტის გამომცემლობა, (თბილისი, 2016), გვ.48-49;

⁴⁷ ცერცვაძე გ., მედიაცია, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმა (ზოგადი მიმოხილვა), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მეთოდების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, (თბილისი, 2010), გვ. 101;

⁴⁸ იქვე, 101;

⁴⁹ Brown S., Cervenak C., Fairman D., Alternative Dispute Resolution Practitioners Guide, Office of Democracy and Governance, Bureau for Democracy, Conflict and Humanitarian Assistance, U.S. Agency for International Development, 1998, p.4

“Conciliation” ხშირად იდენტური შინაარსის მატარებლები არიან, თუმცა არსებობს განსხვავებული მოსაზრებებიც. ზოგიერთი ქვეყნის დოქტრინის მიხედვით შერიგება (Conciliation) და მედიაცია (Mediation) თითქმის იდენტურია, თუმცა, იურისტების ნაწილის განსხვავებული აზრით აუცილებელია მათი გამიჯვნა მედიატორის როლის, მხარეთა დასწრების თავისუფლების, დავის საგნისა და სხვა ნიშნების მიხედვით. ზოგადი თვალსაზრისით შესაძლოა მიჩნეულ იქნას, რომ შერიგება (Conciliation) გაცილებით ფორმალურ პროცესს გულისხმობს მათი გამიჯვნის ხერხების შესაბამისად.⁵⁰

მედიაციაში მოქმედი ნებაყოფლობითობის პრინციპიდან გამომდინარე, შესაძლებელია მედიაცია დაიყოს სასამართლო/სავალდებულო სახის და არასამართლო/არასავალდებულო მედიაციის სახეებად. სასამართლო/სავალდებულო მედიაციის სახე უგულებელყოფს ნებაყოფლობითობის პრინციპს, რომელიც მედიაციის ფუნდამენტურ რგოლს წარმოადგენს თავისი არსიდან გამომდინარე. თუმცა, ინსტიტუტის სიახლის გამო შესაძლოა დადებითად შეფასდეს. მოსამართლის მიერ შეთავაზებული მედიაცია შესაძლებელია მხარისთვის იყოს არასასურველი და არ გამოიყენოს. მხარის ასეთი განწყობა შესაძლოა შექმნას მხარეთა მედიაციის შესახებ ინფორმირების ნაკლებობამ ან მედიაციის გადაწყვეტილების აღსრულებადობის საკითხის არამყარი რწმენის გამო. ხოლო სასამართლო მედიაციისას კი სულ მცირე მხარეს შესაძლებლობა აქვს, სცადოს მედიაცია. სავალდებულო მედიაციისას, მოსამართლე მიუთითებს მხარეებს მედიაციის გამოყენების შესახებ, რომელსაც მხარეთა ნება არ წყვეტს. მნიშვნელოვანია გამოიკვეთოს განსხვავება იმის თაობაზე, რომ მედიაციის სავალდებულო ხასიათი ეხება მის ნებაყოფლობითობის პრინციპს და არ გარდაქმნის მას მხოლოდ პროცესად. მხარეებს შეუძლიათ შეწყვიტონ მედიაცია შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში და

⁵⁰ ცერცვაძე გ., მედიაცია, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმა (ზოგადი მიმოხილვა), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მეთოდების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, (თბილისი, 2010), გვ. 29;

დაუბრუნდნენ სასამართლო განხილვას.⁵¹ მაგალითად, საერთაშორისო სავაჭრო პალატა - ICC⁵² არბიტრაჟის წესების თანახმად, „კლიენტებს“ შეთავაზებული აქვთ სავალდებულო მედიაციის ისეთი ფორმაც, სადაც გარკვეულწილად მედიაცია მხოლოდ ხასიათს იღებს, რადგან მხარეები კისრულობენ ვალდებულებას შეეცადონ დავის გადაწყვეტა ICC -ის წესების თანახმად.⁵³

არასასამართლო/არასავალდებულო მედიაცია სრულიად დაფუძნებულია ნებაყოფლობითობის პრინციპზე და, შესაბამისად, მისი გამოყენება ხორციელდება მხარეთა ერთობლივი ნების საფუძველზე, სასამართლოს მიღმა.⁵⁴

დ) მედიაციის პრინციპები:

მედიაცია არის დავის გადაწყვეტის სპეციფიური საშუალება, რომელიც ემყარება პრინციპებს, რაც განაპირობებს მედიაციის განსაკუთრებულობას და უზრუნველყოფს მის წარმატებულ შედეგებს. სხვაგვარად რომ ითქვას, თუ პროცესი არ დაეყრდნობა მედიაციის ძირეულ პრინციპებს, მას მედიაციას ვერ დავარქმევთ. მედიაციის ყველაზე გავრცელებული პრინციპებია: ნებაყოფლობითობა, კონფიდენციალურობა, გადაწყვეტილების მიღება მხარეთა მიერ, ნეიტრალურობა და გადაწყვეტის გზის უნიკალურობა და ორიგინალურობა. ზემოთ ჩამოთვლილი ძირეული პრინციპების გარდა, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია კეთილსინდისიერების პრინციპი, რომელიც სავალდებულო სახისაა. თუმცა კეთილსინდისიერების შეფასების სირთულის გამო, ამერიკულ დოქტრინაში მიღებულია მისი ნეგატიური განმარტებით შეფასება.

⁵¹ ოქროპირიძე ბ., მედიაცია - სიახლე თანამედროვე ქართულ სამართალში და მისი გავითარების პერსპექტივა საერთაშორისო გამოცდილების საფუძველზე, 2013, დავის ალტერნატიული გადაწყვეტა, წელწდეული 2012, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ეროვნული ცენტრი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ.30-31;

⁵² International Chamber Commerce - საერთაშორისო სავაჭრო პალატა, გ. ცერცვაძე, მედიაცია, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმა (თბილისი, 2010), გვ. 20; <https://iccwbo.org/dispute-resolution-services/arbitration/>;

⁵³ ცერცვაძე გ., მედიაცია, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმა (ზოგადი მიმოხილვა), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მეთოდების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, (თბილისი, 2010), გვ. 102;

⁵⁴ ოქროპირიძე ბ., მედიაცია - სიახლე თანამედროვე ქართულ სამართალში და მისი გავითარების პერსპექტივა საერთაშორისო გამოცდილების საფუძველზე, 2013, დავის ალტერნატიული გადაწყვეტა, წელწდეული 2012, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ეროვნული ცენტრი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ.30

ზემოხსენებული გულისხმობს, რომ ქმედება, რომელიც არ შეფასდება არაკეთილსინდისიერად არის კეთილსინდისიერი.⁵⁵

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, რომ მედიაციის პროცესისთვის ყველა პრინციპის კუმულატიურად გამოყენება და დაცვა ძალიან მნიშვნელოვანია, მათი განმარტების მნიშვნელობიდან გამომდინარე, აუცილებელია განიმარტოს კონფიდენციალურობისა და ნებაყოფლობითობის პრინციპები.

მედიაციამ რომ იმუშაოს, აუცილებელია გააზრებულ იქნას ნებაყოფლობითობის პრინციპის შინაარსი და მისი საჭიროება. ნებაყოფლობითობის პრინციპი მედიაციის უნიკალურობას უსვამს ხაზს, რაც იმაში გამოიხატება რომ დაწყებისთანავე მედიაცია აგებულია მხარეთა ნება სურვილზე, რომელიც გრძელდება ისევე მხარეთა მიერ მიღებულ გადაწყვეტილებამდე, მორიგებამდე.⁵⁶ სხვაგვარად რომ ითქვას, ძირითად შემთხვევაში შესაძლოა გაზიარებულ იქნეს, რომ მედიაციაზე თანხმობა შესაძლებელია გარკვეულ სიტუაციებში გარკვეული მხარისგან იყოს პოზიციის დათმობა ან/და მორიგებაზე ნების გამოვლენა. რა თქმა უნდა, ეს უკანასკნელი ყველა შემთხვევას არ ერგება. მედიაცია ვერ ჩაივლის აღნიშნულთან დაკავშირებული თითოეული პირის თანხმობის გარეშე.⁵⁷

კონფიდენციალურობის პრინციპი, ასევე ძირეული პრინციპია მედიაციის პროცესში, რადგან მედიაცია მხარეებს მოუწოდებს, იყვნენ გულწრფელი თავიანთი საჭიროების, აზრის, იმედების და სურვილების გაზიარებისას.⁵⁸ მედიაციის მიმართ სანდოობის გარანტიადაც გვევლინება პროცესის კონფიდენციალურობა, რომლის ვალდებულების განსაზღვრა სახელშეკრულებო ურთიერთობიდან გამომდინარეობს. მაგალითად, მედიაციის მხარეებს ერთობლივად შეუძლიათ მედიატორი გაათავისუფლონ კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულებისგან. ზოგადად, კონფიდენციალურობის

⁵⁵ ცერცვაძე გ., მედიაცია, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმა (ზოგადი მიმოხილვა), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მეთოდების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, (თბილისი, 2010), გვ. 34;

⁵⁶ Doherty N., Guylar M., The essential Guide to Workplace Mediation & Conflict Resolution, first published in Great Britan and United States by Kogan Page Limited, 2008, p.12;

⁵⁷ იქვე, 12;

⁵⁸ იქვე. 15;

დაცვის ვალდებულება ვრცელდება, როგორც მედიატორზე, ასევე პირებზე, რომლებსაც შესაძლოა მათი სამუშაო ადგილიდან გამომდინარე ჰქონდეთ შეხება მედიაციის პროცედურასთან.⁵⁹

მესამე პირების დასწრება (მაგალითად: სტაჟიორები) ან მათთვის მასალების გაცნობა, აუცილებლად მხარეთა შორის უნდა შეთანხმდეს, რადგან მსგავსი საკითხის შეუთანხმებლობა შესაძლებელია როგორც ნეგატიურად აისახოს მედიაციის პროცესზე, ასევე დაკვალიფიცირდეს კონფიდენციალურობის პრინციპის დარღვევად.⁶⁰ პირებს, რომლებიც შებოჭილნი არიან მედიაციის პროცესიდან გამომდინარე კონფიდენციალურობის ვალდებულებით, შეუძლიათ უარი თქვან სასამართლოში ჩვენების მიცემაზე, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა, რომელსაც არეგულირებს შიდა კანონმდებლობა (მაგალითად: სისხლის სამართლის საქმეების გარდა და ა.შ).⁶¹

დასასრულს აუცილებელია აღინიშნოს, რომ ეს არის ინსტიტუტი, რომელიც უნდა შენარჩუნდეს ისეთი, როგორც მისი კლასიკური გაგებაა და არ უნდა იქნეს დაშვებული მისი შთანთქმა. ფაქტი სახეზეა, რომ ზემოთ განხილული პრინციპების გარეშე მედიაცია აღარ იქნება მედიაცია და გარდაიქმნება რომელიმე სხვა უკვე არსებულ ინსტიტუტად. მედიაციას თავისი ნიშა უნდა ჰქონდეს სამართლებრივ სფეროში.

ე) მედიატორის როლი მედიაციის პროცესში;

მედიაციაში მედიტორს მთავარი დანიშნულება აქვს. მედიატორობა, როგორც პროფესიული საქმიანობა, საკმაოდ ახალია.⁶² მედიატორის როლი შესაძლებელია

⁵⁹ ცერცვაძე გ., მედიაცია, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმა (ზოგადი მიმოხილვა), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მეთოდების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, (თბილისი, 2010), გვ. 35;

⁶⁰ იქვე, გვ. 36-37;

⁶¹ წულაძე ალ., სასამართლო მედიაციის ქართული მოდელი ევრო-ამერიკულ პრიზმაში, სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, უნივერსიტეტის გამომცემლობა, (თბილისი, 2016), გვ.59;

⁶² ცერცვაძე გ., მედიაცია, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმა (ზოგადი მიმოხილვა), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მეთოდების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, (თბილისი, 2010), გვ. 153;

განსხვავებული იყოს იმის მიხედვით, თუ რა ტიპის მედიაციაა.⁶³ მედიატორი, არის ნეიტრალური პირი, რომელიც დავის მხარეებს ეხმარება მათთვის სასარგებლო შეთანხმებამდე მისვლაში. მედიატორი პროცესის მსვლელობისას იყენებს ცოდნას და ტექნიკებს, რათა მხარეები წახალისოს შემოქმედებითობისკენ და ფიქრისკენ, რაც მათ ხელს შეუწყობს კომუნიკაციაში. ამასთან ერთად მედიაციის მთავარი მახასიათებელი არის ის, რომ პროცესზე გადაწყვეტილებას იღებს არა მედიატორი, არამედ მხარეები. ეს უკანასკნელი მნიშვნელოვანი გარემოებაა, რომელიც იმასაც გულისხმობს, რომ მედიატორი ნაკლებად მსჯელობს ფაქტობრივ გარემოებებზე, მისი მთავარი საზრუნავია თავად პროცესის მართვა.⁶⁴

მედიაცია არ არის წმინდა იურიდიული ინსტიტუტი და, შესაბამისად, მედიატორობისთვის წინაპირობა არ არის უმაღლესი იურიდიული განათლება. მედიაცია თავად მოითხოვს კომპლექსურ მიდგომას, რადგან საჭიროა სხვადასხვა დისციპლინებისთვის დამახასიათებელი უნარები.⁶⁵ მედიაციასთან ყველაზე შესაფერის სფეროებად იურისპრუდენცია და ფსიქოლოგია ითვლება.⁶⁶ თუმცა, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მედიაცია სამართლის სფეროში სარგებლობს დიდი პოპულარობით. იურიდიული განათლების მიღებისას სტუდენტი ბევრ ისეთ უნარს იძენს, რომელიც სასარგებლოა მედიატორობისთვის, თუმცა, იმავდროულად შესაძლებელია ხელის შემშლელიც კი აღმოჩნდეს.⁶⁷ მაგალითად, იურისტისთვის ერთ-ერთი ყველაზე

⁶³ მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივები საქართველოში, დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი, (თბილისი, 2013), გვ. 124;

⁶⁴ ირემაშვილი ქ., მედიაციის ინტეგრირება სამართლის სკოლის სასწავლო პროგრამაში, წელწდეული 2012, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ეროვნული ცენტრი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2013, გვ. 8;

⁶⁵ ცერცვაძე გ., მედიაცია, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმა (ზოგადი მიმოხილვა), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მეთოდების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, (თბილისი, 2010), გვ. 155;

⁶⁶ მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივები საქართველოში, დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი, (თბილისი, 2013), გვ. 139;

⁶⁷ ცერცვაძე გ., მედიაცია, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმა (ზოგადი მიმოხილვა), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მეთოდების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, (თბილისი, 2010), გვ. 155;

მნიშვნელოვანი უნარი გადაწყვეტილების მიღებაა, პოზიციის გაძლიერება და შეჯიბრებითობის პრინციპზე დაყრდნობით დასაბუთების საშუალებით მეტოქეობა და ა.შ ... ამ პროფესიული უნარების მედიაში გამოყენება კი დაუშვებელია. შესაბამისად, მედიატორი, რომელიც არის იურისტი, ცდილობს, დათრგუნოს მისთვის ყველაზე ჩვეული უნარები და ამ გზით მოახერხოს შეინარჩუნოს ეფექტურობა მედიაციის პროცესში. აღნიშნულის გამო ბევრი იურისტისთვის გამოწვევაა იყოს მედიატორი. ამას გარდა, იურიდიული წარმომადგენლებიც/ადვოკატებიც მსგავს გამოწვევებს ხვდებიან, მიუხედავად იმისა რომ მედიაციის პროცესში ადვოკატის ამპლუაში არიან ჩართულნი. ასევე აღსანიშნავია, რომ იურისტი იბრძვის მოგებისთვის და მისთვის დავა ასოცირდება „ბრძოლის ველთან“, მედიაციაში კი წაგებული და მოგებული მხარეები არ არიან.⁶⁸ თუმცა, ეს ყოველივე, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს იმას, რომ იურისტი მედიაციაში ნაკლებად სასურველია, არამედ პირიქით, რასაც თუნდაც ის განაპირობებს, რომ იურისტ მედიატორს კარგად შეუძლია განჭვრიტოს დავის სამართლიანი ან/და კანონის თანახმად შესრულებადი შეთანხმება, რათა აღსრულების პრობლემა არ დადგეს მოგვიანებით. ეს ყოველივე კი მედიაციის მიმართ ნდობის გარანტიას ქმნის.⁶⁹

⁶⁸ ირემაშვილი ქ., მედიაციის ინტეგრირება სამართლის სკოლის სასწავლო პროგრამაში, წელწდელი 2012, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ეროვნული ცენტრი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2013, გვ.12-13;

⁶⁹ მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივები საქართველოში, დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი, (თბილისი, 2013), გვ.140;

2. მედიაციის განვითარების ეტაპები საქართველოში „მედიაციის შესახებ“ 2019 წლის 18 სექტემბრის კანონის მიღებამდე

2.1. მედიაციის განვითარების ისტორია საქართველოში

მიუხედავად იმისა, რომ მედიაცია საქართველოში ახალ ინსტიტუტად არის აღიარებული და ამავე დროს საზოგადოების ცნობიერება ჯერ კიდევ დაბალია, მისი ძირითადი და განსაკუთრებული თვისებების შესახებ, მედიაციამ ფესვები ჯერ კიდევ შორ წარსულში გაიდგა, არამარტო საქართველოში არამედ სხვა ქვეყნებშიც. ისტორიული ნარკვევები ადასტურებს, რომ ჩვენს წელთ აღრიცხვამდე, ჯერ კიდევ სამართლებრივი ინსტიტუციონალიზმის მოდგმამდე, მედიაცია არსებობდა, მისთვის დროსთან შესაბამისი თავისებურებებით და გარკვეული განსხვავებებით.⁷⁰ ისტორიის გაცნობიერება აღნიშნულის შესახებ იძლევა საფუძველს გაანალიზებულ იქნას მედიაციის საჭიროება, არა მხოლოდ დროისა და ფინანსური რესურსების დაზოგვის მიზნით, არამედ ადამიანთა შორის არსებული ურთიერთობების მდგრადობის შენარჩუნების მნიშვნელობით.

ისტორიულ წყაროებში ჩანს, რომ სამართალწარმოება და მისი რეალიზაცია ძალზე მნიშვნელოვანი საკითხი იყო საქართველოში ოდითგანვე. ეს ყოველივე განაპირობებდა ქართული სამართლის განვითარებას, რომელშიც განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა სასამართლო წარმოებას და პროცესუალურ საკითხებს. აღსანიშნავია, ის ფაქტი, რომ ძველად ქართული სამართალი დავის კატეგორიზაციას არ ახდენდა და არ მიჯნავდა სისხლის და სამოქალაქო სამართლის დაქვემდებარებულ მატერიალურ თუ პროცესუალურ საკითხებს. სამართალწარმოება ჯერ კიდევ წინასახელმწიფოებრივ ეპოქაში დაიბადა, რომელთაგან უძველეს ფორმას სწორედ, რომ სამედიატორო სასამართლო წარმოადგენდა. ჯერ კიდევ გვაროვნული წყობილების დროს გვარებს შორის უთანხობას მედიატორები წყვეტდნენ. აქვე, ხაზგასასმელია თანამედროვე მედიაციისა და

⁷⁰ ტყემალაძე ს. მედიაცია საქართველოში, ტრადიციიდან თანამედროვეობამდე, UNDP Georgia, (თბილისი, 2016), გვ.15;

წინასახელმწიფოებრივ სამედიატორო სასამართლოს შორის ყველაზე მნიშვნელოვანი განსხვავება მედიატორის გადაწყვეტილების მიღების უფლებაში მდგომარეობდა. თუმცა, მსგავსებას წარმოადგენს, ის რომ მხარეები თავად ირჩევდნენ შუამავალს და მათ მიზანს წარმოადგენდა მორიგება და ამით სავალალო შედეგების თავიდან არიდება.⁷¹

მონღოლთა ბატონობის შედეგად დაშლილ საქართველოში სასამართლო წყობილებები სამეფო-სამთავროების მიხედვით განიხილებოდა. XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ქართლ-კახეთის ერთიანი სამეფოს გამო აღმოსავლეთ საქართველოში სასამართლო ორგანიზაცია იდენტური ნიშნებით ხასიათდებოდა. გვაროვნული წყობის აღმოფხვრის შემდგომ და სახელმწიფოებრივი მართლმსაჯულების დაფუძნებიდან ჩნდება⁷² სასამართლო ფორმათა შორის ბჭე-მედიატორი.⁷³ „მიხეილ კეკელიას დაკვირვებით, სიტყვა მედიატორს XIX საუკუნის დამდეგამდე ქართული სინამდვილე არ იცნობდა. ამ სიტყვას მხოლოდ 1802 წლიდან ვხვდებით,“ - აღნიშნავს სამართლის მკვლევარი გიორგი დავითაშვილი საკუთარ ნაშრომში.⁷⁴ ტერმინ „ბჭეს“ შინაარსობრივი ცვლილება არ განუცდია მე-12 საუკუნიდან მე-19 საუკუნემდე - აღნიშნავს ავთანდილ წულუკიანი.⁷⁵ ბჭეები შესაძლოა ყოფილიყვნენ როგორც საერო, ასევე სასულიერო პირები, რომლებიც დავას ჩვეულებითი სამართლის საფუძველზე განიხილავდნენ მორიგების მიზნით. ბჭეები კოლეგიალურად მუშაობდნენ დავის გადაწყვეტაზე და მათ მხარეები ირჩევდნენ თანაბარი რაოდენობით (ორ-ორი, სამ-სამი და მეტი). საყურადღებოა, რომ მჭეების მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებები არ საჩივრდებოდა, თუმცა ეს უკანასკნელი არ ართმევდა მხარეებს უფლებას ხელმეორედ განეხილათ დავა.⁷⁶

⁷¹ მეტრეველი ვ. ქართული სამართლის ისტორია, გამომცემლობა „მერიდიანი“, (თბილისი 2009), გვ.394-395;

⁷² ტყემალაძე ს. მედიაცია საქართველოში, ტრადიციიდან თანამედროვეობამდე, UNDP Georgia, (თბილისი, 2016), გვ.15;

⁷³ მეტრეველი ვ. ქართული სამართლის ისტორია, გამომცემლობა „მერიდიანი“, (თბილისი 2009), გვ. 398;

⁷⁴ წულაძე ა. სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად „სასამართლო მედიაციის ქართული მოდელი ევრო-ამერიკულ პრიზმაში“, უნივერსიტეტის გამომცემლობა, (თბილისი, 2016), გვ. 121;

⁷⁵ იქვე, გვ. 122

⁷⁶ მეტრეველი ვ. ქართული სამართლის ისტორია, გამომცემლობა „მერიდიანი“, (თბილისი 2009), გვ.410;

ბატონყმობის გადაგდების პერიოდში, როდესაც კავკასიაში გატარდა საამართლო რეფორმა, ჯერ შუამავლად, ხოლო შემდგომ მომრიგებელ მოსამართლედ დუშეთში მოღვაწეობდა ილია ჭავჭავაძე. 1866 წლის 22 ნოემრბის დებულებით ილია ერთპიროვნული სასამართლო ხელისუფალი გახდა თავის სამოქმედო ტერიტორიაზე.⁷⁷ აქედან გამომდინარე, მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოში სამედიაციო სამართლის განვითარებაში ილია ჭავჭავაძის როლი, როგორც სხვა ბევრ საკითხში, აქაც დიდია.⁷⁸ ფაქტია, მედიაციობა საქართველოს ისტორიაში ავტორიტეტული და პრივილეგირებული საქმიანობა იყო,⁷⁹ რაც არამართო იმის ანალიზის საშუალებას გვაძლევს რომ წარსულში სამედიაციო საქმიანობა წარსულისთვის დამახასიათებელი ფორმით არსებობდა, არამედ გამოკვეთს მის მნიშვნელობას ქართველი ხალხის კულტურაში.

2.2. სასამართლო მედიაციის განხილვა 2019 წლის 18 სექტემბრის საკანონმდებლო ცვლილებებამდე

საქართველო მრავალი წლის განმავლობაში იყო ანექსირებული და იბრძოდა დამოუკიდებლობისათვის. ეს პერიოდი, რომელიც ასეულობით წელს მოიცავს, ფაქტობრივად, საქართველოსთვის დეგრადაციის წლებად იქცა. მე-20 საუკუნის ბოლოს საქართველომ თავი დაიხსნა დამპყრობელისგან და დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადდა. 1995 წლის 24 აგვისტოს საქართველოს პარლამენტმა ახალი კონსტიტუცია მიიღო, რომელიც დღესაც მოქმედია. შესაძლებელია ითქვას, რომ განვლილი წლები მანძილი იყო, რამაც დააშორა საქართველო სამართალწარმოების განვითარებასთან და ამიტომ მისი ინსტიტუციონალიზმის განვითარებაზე ზრუნვა სწორედ 21-ე საუკუნის

⁷⁷ ტყემალაძე ს. მედიაცია საქართველოში, ტრადიციიდან თანამედროვეობამდე, UNDP Georgia, (თბილისი, 2016), გვ.18;

⁷⁸ წულაძე ა. სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად „სასამართლო მედიაციის ქართული მოდელი ევრო-ამერიკულ პრიზმაში“, უნივერსიტეტის გამომცემლობა, (თბილისი, 2016), გვ. 127;

⁷⁹ ცერცვაძე გ., მედიაცია, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმა (ზოგადი მიმოხილვა), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მეთოდების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, (თბილისი, 2010), გვ. 55;

დასაწყისიდან დაიწყო. მოცემული თემის ჭრილში ისტორიას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან წარსულმა გავლენა იქონია როგორც ქვეყნის მნიშვნელოვან სოციალურ, ეკონიკურ თუ პოლიტიკურ საკითხებზე, ასევე მედიაციის 21-ე საუკუნეში ახლიდან დანერგვაზე.

საქართველოში მედიაციის ინსტიტუტის ისტორიული საფუძვლების დასტურად არაერთი მაგალითის მოყვანა შეიძლება. ეს მაგალითები ცხადყოფს ქართულ კულტურაში დავის გადაწყვეტის მსგავსი ტრადიციის არსებობას. თუმცაღა, დამოუკიდებლობის დაკარგვამ მნიშვნელოვნად შეზღუდა სამართლებრივი ინსტიტუტების განვითარება ქვეყანაში. აღნიშნული შეეხო მედიაციასაც. შესაბამისად, მედიაციის ინსტიტუტის ისტორიულ საფუძვლებზე მსჯელობისას, სამართლიანი იქნება იმის აღნიშვნა, რომ ქართული სამართლებრივი კულტურის წიაღში აღმოცენების შემდეგ მედიაციის ინსტიტუტს არ მიეცა განვითარების შესაძლებლობა. ასეთი დასკვნა აზუსტებს მედიაციის ინოვაციურ ხასიათს დღევანდელი მართლმსაჯულების სისტემაში.

მედიაციის, როგორც ინსტიტუტის დანერგვა და განვითარება საქართველოში 2011 წლიდან იწყება. 2011 წლის 19 ოქტომბერს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში გაიმართა სამუშაო შეხვედრა, რომელიც შეეხებოდა სასამართლო და არასასამართლო მედიაციის დანერგვასა და განვითარებას საქართველოში. კერძოდ, თუ რა სახის დავებისთვის არის სასამართლო მედიაცია სავალდებულო.⁸⁰

2011 წლის 21 ნოემბერს ინიცირებული ცვლილებით, რომელიც გამოქვეყნდა 2011 წლის 20 დეკემბერს, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში (შემდგომში მოხსენიებული, როგორც „სსსკ“) განისაზღვრა საქართველოში სასამართლო მედიაციის დანერგვა და მისი გამოყენების წესები. ზემოაღნიშნული ცვლილებები ამოქმედდა 2012 წლის 1 იანვრიდან. ინიცირებული ცვლილებების განმარტებითი ბარათის მიხედვით „კანონპროექტის მიღების მთავარი მიზეზია დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალების - მედიაციის ინსტიტუტის დამკვიდრება, რაც ხელს შეუწყობს მხარეთა შორის დავის აღმოფხვრას მათი

⁸⁰ <http://hcoj.gov.ge/ge/sasamartlo-da-arasasamartlo-mediatsiis-danergva-saqartveloshi/1086> ინფორმაცია 2011 წლის 19 ოქტომბრის შეხვედრაზე;

შეთანხმების შესაბამისად და საზოგადოების თვითშეგნების ამაღლებას, რათა დავა მოაგვარონ ურთიერთშეთანხმებით, არასასამართლო გზით“.⁸¹

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მეოთხე კარს დაემატა XXI¹ თავი სახელწოდებით „სასამართლო მედიაცია“, რომელიც მოიცავს 9 მუხლს. ზემოაღნიშნულმა, რა თქმა უნდა, გამოიწვია გარკვეული ცვლილებების შეტანა სხვადასხვა რეგულაციებში. კოდექსი ფაქტობრივად მედიაციის დეფინიციას არ იძლევა, თუმცა გვთავაზობს მისი გამოყენების გზას. კერძოდ, სსსკ-ს 187¹ მუხლის 1-ლი ნაწილით განისაზღვრა, რომ მედიაციის გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემდგომ, რაც თავის მხრივ განაპირობებს სასამართლო მედიაციის წინაპირობას და რომელსაც განამტკიცებს ამავე მუხლის მე-2 ნაწილში მოცემული დათქმა, რომ მედიატორისთვის საქმის გადაცემის შესახებ განჩინების გასაჩივრება დაუშვებელია. ასევე, აქვე მოცემულია ინფორმაცია, რომ სასამართლო მედიატორს (ფიზიკურ ან იურიდიულ პირს) გადასცემს მედიაციას დაქვემდებარებულ საქმეს, რაც გულისხმობს, რომ ყველა ტიპის დავაზე სასამართლოს არ აქვს პრეროგატივა გამოიყენოს სავალდებულო მედიაცია. მიუხედავად იმისა, რომ მუხლი მედიაციის ცნების სრულ დეფინიციას არ იძლევა, მასში აღნიშნულია სასამართლოს მიერ საქმის მედიაციისთვის გადაცემის და ზოგადად მედიაციის მიზანი, ანუ დავის მხარეთა შეთანხმებით დასრულება. სსსკ-ის 187³ მუხლის 1-ლი ნაწილით განისაზღვრა მედიაციას დაქვემდებარებულ საქმეთა შემდეგი ნუსხა: საოჯახო სამართლებრივ დავები, გარდა შვილად აყვანისა, შვილად აყვანის ბათილად ცნობა, მშობლის უფლების შეზღუდვისა და მშობლის უფლების ჩამორთმევა, სამემკვიდრეო სამართლებრივ, სამეზობლო სამართლებრივ დავები და ნებისმიერი დავა - მხარეთა თანხმობის შემთხვევაში.⁸²

⁸¹ წულაძე ა. სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად „სასამართლო მედიაციის ქართული მოდელი ევრო-ამერიკულ პრიზმაში“, უნივერსიტეტის გამომცემლობა, (თბილისი, 2016), გვ. 129;

⁸² <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1541725?publication=0> საქართველოს ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილების შეტანის შესახებ საქართველოს კანონი N5550-რს, 2011 წლის 20 დეკემბერი;

ამ მუხლის მე-2 ნაწილი განსაზღვრავს, რომ ზემოაღნიშნული ჩამონათვალიდან მხარეთა პრეროგატივა, რომ საქმე განიხილონ მედიაციით, გათვალისწინებულ შემთხვევაში შესაძლებელია გადაეცეს მედიატორს საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე. აღნიშნული დათქმით, ნათელია, კანონმდებლის მიზანი, კერძოდ, სასამართლო მედიაციის რეგულირება უნდა განხორციელებულიყო ისე, რომ მედიაციის თავისებურებები მაქსიმალურად დაეცვა და დავის გადაწყვეტის რომელიმე ალტერნატიულ საშუალებას არ დამსგავსებოდა. მხარეთა თანხმობის შემთხვევაში მედიაციის გამოყენება ნებისმიერ დავის განხილვისას, თავის მხრივ, ინარჩუნებს მედიაციის ერთ-ერთ ფუნქციურ - ნებაყოფლობითობის პრინციპს, რაც ზოგადად მედიაციის ინსტიტუტის ცნებასთან მჭიდრო კავშირის უზრუნველყოფას ემსახურება. როგორც აღინიშნა, თუ მედიაცია მისი ფუნდამენტური პრინციპებისგან კუმულატიურად არ შედგება, შესაძლებელია სხვა დავის გადაწყვეტის ალტერნატიულმა საშუალებამ შთანთქოს იგი.⁸³

სავალდებულო მედიაციისთვის დადგინდა ვადები სსსკ-ის 187⁵ მუხლის 1-ლი ნაწილით. სასამართლოს შეუძლია დავა გადასცეს მედიატორს, რომელიც უნდა განხორციელდეს 45 დღის განმავლობაში და უნდა მოიცავდეს სულ მცირე 2 შეხვედრას. უნდა ითქვას, რომ მედიაციის პროცესისთვის დადგენილი ვადები, რომელიც გაცილებით ნაკლებია ვიდრე სასამართლოში საქმის წარმოება, არის მედიაციის ინსტიტუტის ერთ-ერთი დადებითი მახასიათებელი, რომელიც მისი წარმატების ნაწილია. ის, რომ მედიაცია არ არის დროში გაწელილი პროცესი ზრდის მედიაციის პოპულარიზაციას და მნიშვნელოვანი გავლენა აქვს სასამართლოზე, რაც იმაში გამოიხატება, რომ მედიაცია ხელს უწყობს სასამართლოს საქმეებისგან განტვირთვაში. სსსკ-ის 187⁶ მხარეები ვალდებუნი არიან დაესწრონ სასამართლო მედიაციას კანონით დადგენილ ვადაში, ხოლო ამ ვალდებულების შეუსრულებლობა სანქცირებულია. ამავე მუხლში გათვალისწინებულია სანქცირებისგან თავის არიდების შესაძლებლობა, თუ მხარეებმა დავა გადაწყვიტეს შეთანხმებით

⁸³ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1541725?publication=0> საქართველოს ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილების შეტანის შესახებ საქართველოს კანონი N5550-რს, 2011 წლის 20 დეკემბერი;

მედიაციის პროცესის განმავლობაში ან სასამართლოში დავის განხილვისას გააფორმებენ მორიგების აქტს. აქედან გამომდინარე, ნათლად ჩანს მხარეთა მორიგებისკენ და შეთანხმებით დავის გადაწყვეტისკენ წახალისება. ამას გარდა, სსსკ-ის 187⁷ მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით მორიგების აქტის გასაჩივრება დაუშვებელია. სსსკ-ის 187⁵ მუხლის 1-ლი ნაწილი მხარეებს ანიჭებს უფლებამოსილებას გააგრძელონ მედიაციით დავის განხილვა კიდევ 45 დღით.⁸⁴

მედიაციის არამბოჭავი ფორმის შენარჩუნება სსსკ-ის 187⁷ მუხლის მე-2 ნაწილიდან ჩანს, რომელიც გამოიკვეთება იმაში, რომ მხარეები ვალდებულნი არ არიან მედიაციისას მივიდნენ შეთანხმებამდე. სასამართლო მედიაციის სავალდებულო ხასიათი, მხოლოდ, მხარეთა მედიაციის პროცესში ჩაბმას კანონით განსაზღვრული წესებით ითვალისწინებს და არ ავალდებულებს მათ მედიაციის გზით მიიღონ გადაწყვეტილება. გარდა ამისა, მხარეებს შეუძლიათ დაუბრუნდნენ სამართალწარმოებას და განაგრძონ დავის განხილვა სასამართლო გზით, რომელიც ასევე განმტკიცებულია სსსკ-ის 281-ე მუხლის „ვ“ ქვეპუნქტით, რაც განსაზღვრავს საქმის წარმოების შეჩერებას მედიაციის დასრულებამდე.⁸⁵ სსსკ-ის 187⁸ მუხლი კონფიდენციალურობის პრინციპის დაცვას ემსახურება. მედიატორს არ აქვს უფლება გაამჟღავნოს ინფორმაცია, რომელიც მან მიიღო მედიაციის პროცესის წარმოებისას, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა პირობები არ არის დადგენილი. აღნიშნულთან ერთად სსსკ-ის 141-ე მუხლი განსაზღვრავს პირებს, რომელთა დაკითხვაც არ შეიძლება მოწმის სახით და ამავე მუხლის „დ“ ქვეპუნქტი განამტკიცებს მედიატორის იმუნიტეტს, არ იქნეს მოწმედ წარდგენილი ისეთ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლებიც მისთვის ცნობილი გახდა სამედიატორო მოვალეობის შესრულებისას. სსსკ-ის 187⁸ მუხლის მე-2 ნაწილით კონფიდენციალურობის ვალდებულებით ასევე შეზღუდული არიან მხარეები და მათი წარმომადგენლები ისეთ ინფორმაციაზე, რომელიც მათთვის

⁸⁴ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1541725?publication=0> საქართველოს ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილების შეტანის შესახებ საქართველოს კანონი N5550-რს, 2011 წლის 20 დეკემბერი;

⁸⁵ <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/52644?> განმარტებითი ბარათი 2011 წლის 21 ნოემბრის ინიცირებული კანონპროექტის, საქართველოს ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებების შეტანის თაობაზე, გვ.5

ცნობილი გახდა მედიაციის პროცესის მსვლელობისას, გარდა გამონაკლისი შემთხვევისა, როდესაც მხარეთა შეთანხმებით კონფიდენციალურობასთან დაკავშირებული სხვა რამ არის დადგენილი. კანონმდებელმა, გარდა ამ მუხლის ჩანაწერისა საპროცესო კოდექსში ცვლილება შეიტანა 104-ე მუხლში და მას დაუმატა 1¹ და 1² ნაწილები, რომელიც შინაარსობრივად მოიცავს მედიაციის პროცესში ნებისმიერი გამჟღავნებული ინფორმაციის თუ დოკუმენტის მტკიცებულების სახით სასამართლოში წარდგენის დაუშვებლობას, გარდა იმ გამონაკლისი შემთხვევისა თუ მხარეთა მიერ კონფიდენციალურობასთან დაკავშირებით სხვა რამ არის დადგენილი. აქვე, მუხლის 1² ნაწილში გამონაკლისი შემთხვევების სახით დაშვებულია ინფორმაციის წარდგენა იმ მხარის მიერ, რომელმაც გაამჟღავნა ეს ინფორმაცია ან/და დოკუმენტი, ან თუ მედიაციის პროცესამდე ასეთი ინფორმაცია ან/და დოკუმენტი უკვე ჰქონდა მხარეს ან მხარემ აღნიშნული ინფორმაცია/დოკუმენტი კანონით გათვალისწინებული სხვა საშუალებით მიიღო და აღნიშნულის საფუძველზე წარადგინა მან სასამართლოში. ამას გარდა, ცვლილება განხორციელდა სსსკ-ის 31-ე მუხლშიც, რომელსაც დაემატა „ე“ ქვეპუნქტი და მედიატორობა გახდა მოსამართლის აცილების ერთ-ერთი საფუძველი. ხოლო, სსსკ-ის 94-ე მუხლს დაემატა 1¹ ნაწილი, რომელიც გულისხმობს, რომ სასამართლოში წარმომადგენელი არ შეიძლება იყოს პირი, რომელიც იმავე საქმეში ან ამ საქმესთან არსებითად დაკავშირებულ სხვა საქმეში ასრულებდა მედიატორის მოვალეობას. მიჩნეულ უნდა იქნეს, რომ ზემოთ მითითებული ცვლილებები ხელს უწყობს მედიატორის მიერ ნეიტრალურობის შენარჩუნებას სამართალწარმოებისას და ზოგადად, კონფიდენციალურობის პრინციპის დაცვას ასეთი საჭიროების შემთხვევაში.⁸⁶

საპროცესო კოდექსს დაემატა 218-ე მუხლის მე-3 ნაწილი, რომელიც ითვალისწინებს მოსამართლის მიერ მხარეთათვის მედიაციის შეთავაზებას, იმ მიზნით, რომ მათ დავა შეთანხმებით დაასრულონ. ამ წინადადების ჩაწერამ, მოსამართლეებს მისცა საშუალებას

⁸⁶ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1541725?publication=0> საქართველოს ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილების შეტანის შესახებ საქართველოს კანონი N5550-რს, 2011 წლის 20 დეკემბერი;

კერძოსამართლებრივი სამართალწარმოების პროცედურებისა და პრინციპების დარღვევის გარეშე მიეწოდებინა მხარეებისთვის ინფორმაცია მედიაციის შესახებ და წახალისებინა მხარეები მედიაციის ინსტიტუტის გამოყენებაზე. ზემოხსენებული ხელს უწყობს მედიაციის შესახებ ცნობიერების ამაღლებას, რომელიც მნიშვნელოვანი იყო ინსტიტუტის განვითარებისთვის. შესაბამისად, მოსამართლის მიერ ხდება მხარეთა ინფორმირება და ასევე, ნდობის განმტკიცება მედიაციის ინსტიტუტის მიმართ, რომელსაც საფუძვლად მოსამართლის, როგორც ავტორიტეტული და კომპეტენტური პირის მიერ შეთავაზება უდევს. სხვაგვარად რომ ითქვას, მოსამართლის მიერ შეთავაზებული ან განჩინებით დავალდებული მედიაცია, სულ მცირე მხარეებისთვის ინფორმატიულია.⁸⁷

2012 წლის 7 მაისს საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს, იუსტიციის უმაღლეს სკოლას, თბილისის საქალაქო სასამართლოს, ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული დავების ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალურ ცენტრს, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებასა და USAID-ის მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა და სამართლებრივი გაძლიერების პროექტს შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი სასამართლო მედიაციასთან დაკავშირებით. მემორანდუმის თანახმად შეიქმნა და განხორციელდა სასამართლო მედიაციის საპილოტე პროექტი თბილისის საქალაქო სასამართლოში.⁸⁸ 2015 წლის 25 სექტემბერს გაიმართა მედიაციის საპილოტე პროექტის წარდგენა ქალაქ გორში და ამავე დროს გაფორმდა გორის რაიონულ სასამართლოს, იუსტიციის უმაღლეს საბჭოსა და გორის მედიაციის ცენტრს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი. საპილოტე პროექტის მიზანს წარმოადგენს სამოქალაქო დავების მორიგებით დამთავრების ხელშეწყობა, საქართველოში მედიაციის ინსტიტუტის განვითარება და სწრაფ და ეფექტურ მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა. ზემოხსენებულის

⁸⁷ <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/52644?> განმარტებითი ბარათი - 2011 წლის 21 ნოემბრის ინიცირებული კანონპროექტის, საქართველოს ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებების შეტანის თაობაზე, გვ.6

⁸⁸ <http://hcoj.gov.ge/ge/sasamartlo-mediatsiis-temastan-dakavshirebit-memorandumi-gaformda/1924> ინფორმაცია 2012 წლის 8 მაისის შეხვედრის შესახებ;

განხორციელებით მემორანდუმის ხელმოწერი მხარეები იღებენ ვალდებულებას შესთავაზონ დაინტერესებულ პირებს და მხარეებს სამედიაციო სერვისი უსასყიდლოდ, დონორი ორგანიზაციების დაფინანსებით, რომლის ხანგრძლივობად 1 წელი განისაზღვრა.⁸⁹

მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას, რომ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 14 მარტის N1/107 გადაწყვეტილებით, სამოქალაქო საქმეზე სარჩელის, შესაგებლისა და საჩივრის ფორმაში შევიდა ცვლილება, რომლის მიხედვით ფორმას დაემატა შეკითხვა საქმის სასამართლო მედიაციისთვის გადაცემასთან დაკავშირებით.⁹⁰

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ 2016 წლის 30 დეკემბერს გამოსცა გადაწყვეტილება N 1/285 სასამართლო მედიაციის პროცესის ადმინისტრირების წესის დამტკიცების შესახებ, რომელიც განსაზღვრავდა სასამართლო მედიაციის პროცესის ორგანიზაციულ უზრუნველყოფის საკითხებს. ამ გადაწყვეტილების საფუძველზე განისაზღვრა სასამართლოში კონსულტანტის პოზიცია სასამართლო მედიაციის საკითხებში. მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას სასამართლო მედიაციის პროცესის ადმინისტრირების წესის მე-5 მუხლს, რომელიც აღნიშნავს, რომ სასამართლო მედიაციის პროცესში შეხვედრები შესაძლებელია დაინიშნოს, როგორც სასამართლოში, ასევე სასამართლოს გარეთ.⁹¹ არაფორმალური გარემოს შექმნა მხარეებს ხელს უწყობთ თავი თავისუფლად იგრძნონ და აქტიურად ჩაებან დავის გადაწყვეტაში, რაც სასამართლოში

⁸⁹ <http://hcoj.gov.ge/ge/mediatsiis-sapilote-proeqtis-prezentatsia/2521> ინფორმაცია 2015 წლის 28 სექტემბრის შესახებ;

⁹⁰ <http://hcoj.gov.ge/ge/common-courts/sasamartlo-formebi/sasamartlo-formebi-samogalago-saqmeze> ინფორმაცია 2016 წლის 14 მარტის N1/107 გადაწყვეტილების შესახებ, სამოქალაქო საქმეზე სარჩელის, შესაგებლის, საჩივრის ფორმებში შეტანილი ცვლილებების შესახებ;

⁹¹ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება N 1/285, სასამართლო მედიაციის პროცესის ადმინისტრირების წესის დამტკიცების შესახებ / <http://hcoj.gov.ge/files/285-2016.pdf> ; -აღნიშნული გადაწყვეტილება ძალადაკარგულად გამოცხადდა 2019 წლის 27 დეკემბერს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით N1/366 სასამართლო მედიაციის პროგრამის დამტკიცების შესახებ; <http://hcoj.gov.ge/files/pdf/%20gadacyvetilebebi/2019%20-%20gadawyvetilebebi/366.pdf>

ნაკლებად არის შესაძლებელი სასამართლოს ფორმალური გარემოს და მოსამართლის, როგორც გადაწყვეტილების მიმღები, „შემფასებელი“ პირის მონაწილეობის გამო.⁹²

მედიაციის საპილოტე პროექტის მიმდინარეობისას მედიაციას განსახილველად გადაცემული 83 საქმიდან მხარეებმა შეძლეს და 50% ურთიერთშეთანხმებით დაასრულეს. დროთა განმავლობაში მედიაციაში საქმეთა რაოდენობამ დაიწყო ზრდა, რასაც ადასტურებს ის, რომ 2017 წლამდე ყოველი წლის მანძილზე მედიაციის საქმეთა წლიური ოდენობა 27-ს არ სცდებოდა, ხოლო 2017 წლის მონაცემით, წლის პირველ კვარტალში უკვე 16 საქმე იყო დარეგისტრირებული.⁹³

2017 წლის 1 აპრილს საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს, თბილისის საქალაქო სასამართლოსა და საქართველოს მედიატორთა ასოციაციას შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რომლის მიზანს წარმოადგენდა სამოქალაქო-სამართლებრივ დავებში მედიაციის პროგრამის იმპლემენტაციის გზით სასამართლო განტვირთვის ხელშეწყობას.⁹⁴

განხორციელებული ქმედებები არ აღმოჩნდა საკმარისი სასამართლო მედიაციის განვითარების თვალსაზრისით ან თუნდაც ზოგადად მედიაციის მიმართ ინტერესის გაღვივებისთვის. შესაბამისად, 8 წლიანმა პრაქტიკამ შედეგად მედიაციის მცირედი წარმატება და მთელი რიგი ხარვეზები დააგროვა არსებულის უკეთესი პრაქტიკის ჩანაცვლებისთვის მოსამზადებლად.

⁹² ყანდაშვილი ი., საქართველოს მედიაციის მაგალითზე დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სასამართლო და არასამართლო ფორმები, სადისერტაციო ნაშრომი, (თბილისი, 2018), გვ. 110;

⁹³ გვენეტაძე ნ., გოცირიძე ე., თორდია ვ., მურუსიძე ლ., სოფრომაძე კ., 2017, მოსამართლეთა საქმიანობის შეფასება, სასამართლო მედიაცია და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, პუბლიკაცია დაბეჭდილია ევროპის საბჭოს პროექტის „სასამართლო რეფორმის მხარდაჭერა საქართველოში“ ფარგლებში, თბილისი, გვ. 66;

⁹⁴ <http://hcoj.gov.ge/ge/mediatsiis-programis-implementatsiis-miznit-urtiertgagebis-memorandumi-gaformda/2863>
ინფორმაცია 2017 წლის 3 აპრილს საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს, თბილისის საქალაქო სასამართლოს და საქართველოს მედიატორთა ასოციაციას შორის გაფორმებული მემორანდუმის შესახებ;

3. „მედიაციის შესახებ“ კანონით შემოთავაზებული რეგულირება

3.1. გარდამავალი პერიოდი მედიაციის ახალ კანონამდე

საქართველოში 2012-2020 წლებში მოქმედმა სასამართლო მედიაციამ საზოგადოებაში მის შესახებ ცნობიერების ამაღლების თვალსაზრისით გარკვეულ წარმატებებს მიაღწია. თუმცა, განხორციელებული ქმედებები არ აღმოჩნდა საკმარისი მედიაციის ინსტიტუტის სამართალწარმოებაში ადგილის დამკვიდრებისთვის. 2016 წლის გაზაფხულზე დაიწყო „მედიაციის შესახებ“ ახალი კანონის პროექტზე მუშაობა. კანონპროექტზე მუშაობდნენ ევროკავშირის და გაეროს განვითარების პროგრამის ერთობლივი პროექტის ფარგლებში შექმნილი სამუშაო ჯგუფები, რომელთაც მხარს უჭერდა აქტიური ჩართულობით თუ ფინანსური თვალსაზრისით USAID/PROLoG-ის და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება. კანონპროექტი ინიცირებული იყო პარლამენტში 2019 წლის 13 მარტს, ხოლო მიღებული 2019 წლის 18 სექტემბერს.⁹⁵ კანონის განმარტებით ბარათში აღნიშნულია, რომ „იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მედიაციის წარმატების მაჩვენებელი დაბალი, ან, ზოგიერთ შემთხვევაში, უკიდურესად დაბალია, საქმის განხილვის ტვირთი სახელმწიფოს, ბიზნესსა და მოქალაქეებისთვის მაინც მნიშვნელოვნად მსუბუქდება“.⁹⁶ შესაძლებელია, სასამართლო მედიაციის დანერგვა მისი ეფექტურობის კუთხით მედიაციის საქართველოში განვითარებისთვის საფუძვლის ჩაყრის ტოლფასი იყო, მაგრამ მხოლოდ დამკვიდრება როდია საკმარისი. საქართველოს კანონის „მედიაციის შესახებ“ მიღება საქართველოში დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების დანერგვის, განვითარების და გაცილებით ფართო სეგმენტში პოპულარიზაციის თვალსაზრისით საკმაოდ დიდი ნაბიჯია. ამასთან ერთად, გასათვალისწინებელია, რომ საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების შეთანხმებით საქართველოს განესაზღვრა ვალდებულება სახელმწიფოში დაემკვიდრებინა და

⁹⁵ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4646868?publication=1> საქართველოს კანონი „მედიაციის შესახებ“;

⁹⁶ <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/216089> 2019 წლის 18 სექტემბერს მიღებული კანონის „მედიაციის შესახებ“ განმარტებითი ბარათი, გვ. 2;

განვეითარებინა დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები, რომელთა შორის განსაკუთრებული მითითება სწორედ მედიაციასა და არბიტრაჟზე კეთდება.⁹⁷

სასამართლო მედიაციის მოქმედების 8 წლიანმა პრაქტიკამ ცხადყო ბარიერების არსებობა და სახეობა, რომელთა გადალახვაც გამოიწვევს მედიაციის ინსტიტუტის ამუშავებას და საუკეთესო შედეგების მიღებას. პილოტური პროექტის მიმდინარეობისას, 2012 წლიდან მხოლოდ რამდენიმე ათეული მედიაციის პროცესი ჩატარდა. შექმნილი ვითარება, როგორც სასამართლო, ასევე არასასამართლო მედიაციისთვის საქართველოში არსებული საკანონმდებლო და სამოქმედო ზოგადი ფონის გაანალიზების წყაროა. მედიაციით განხილულ საქმეთა სიმცირე ნათლად წარმოაჩენს საზოგადოებაში და იურიდიულ სამყაროში მედიაციის ინსტიტუტის შესახებ დაბალ ცნობადობას და მის მიმართ ჩამოყალიბებულ უნდობლობას, რომლის საფუძვლადაც შესაძლებელია მივიჩნიოთ არაეფექტური პროცედურების გატარება და არასაკმარისი მხარდაჭერა. ამას გარდა, კანონის განმარტებით ბარათში კანონმდებელმა აღნიშნა რამდენიმე ძირითადი გამოწვევა, რომელთა შორისაა „მედიაციის ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის არ არსებობა, მისი ინსტიტუციონალიზაციის დაბალი დონე, მედიატორთა კადრების სიმცირე, მედიატორთა სერტიფიცირების სტანდარტებისა და განგრძობადი განათლების არარსებობა, მედიაციის უპირატესობის განმსაზღვრელი საკანონმდებლო გარანტიების არარსებობა, მედიატორთა ეთიკის სტანდარტების არარსებობა, მედიაციის ინსტიტუტის მიმართ იურიდიული პროფესიების წარმომადგენელთა მხარდაჭერის დაბალი დონე და სხვა“.⁹⁸ სახელმწიფოს მუდმივი გავითარებისას მნიშვნელოვანია შემუშავებულ იქნას ისეთი მეთოდები, რომელიც ეფექტურს გახდის სახელმწიფო ინსტიტუციების მუშაობას და ხელს შეუწყობს ეკონომიკის განვითარებას. საზოგადოებას უნდა შეეძლოს აირჩიოს მკაცრად ფორმალურად სამართალწარმოების პროცედურასა და მოდავე მხარესთან სამომავლო ურთიერთობების ინტერესზე დაფუძნებული დავის გადაწყვეტის მექანიზმებს შორის,

⁹⁷ იქვე, გვ. 1;

⁹⁸ <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/216089> 2019 წლის 18 სექტემბერს მიღებული კანონის „მედიაციის შესახებ“ განმარტებითი ბარათი, გვ. 3-4;

ასევე შეარჩიოს მართლმსაჯულების განხორციელების მატერიალურად უფრო ხელმისაწვდომი საშუალება. ზემოხსენებული როდი მოიცავს მხოლოდ იმ აზრს, რომ მედიაცია გაცილებით იაფი და სწრაფი დავის გადაწყვეტის საშუალებაა, არამედ აქვე იგულისხმება ისიც, რომ სასამართლომ შეძლოს თავისი მოვალეობა შეასრულოს ხარისხიანად, რომელიც განხორციელებადა, თუ კი კონცენტრირდება არა საქმეთა სიმრავლის შემცირებაზე, არამედ მართლმსაჯულების სწორად და მაღალ დონეზე განხორციელებაზე. მედიაციის ინსტიტუტის წარმატების ზრდასთან, პროპორციულად განიტვირთება მართლმსაჯულების სისტემა, რომლის მუშაობის ხარისხიც დარეგისტრირებულ საქმეთა დიდი რაოდენობის გამო ხშირად კითხვის ნიშნის ქვეშ დგება, რაც პირდაპირ აისახება მის მიმართ საზოგადოების ნდობის ექვივალენტზე. მედიაცია არის დროის და ფინანსური დაზოგვის საუკეთესო საშუალება, რომელსაც სჭირდება ფორმირება, რათა თავისი შედეგი გამოიღოს და აისახოს თუნდაც, სახელმწიფოს სამართალწარმოების სტრუქტურის ეფექტურობის ამაღლებაზე. „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონის განმარტების ბარათში კანონმდებელმა მედიაციის გავითარების მთავარ პრობლემად აღნიშნა მედიაციის ინტიტუციური საყრდენის არარსებობა ამ სფეროში მოქმედი ორგანიზაციებისთვის, რომელიც უზრუნველყოფდა მედიატორთა გაერთიანებას, მათ სერტიფიცირებას და კვალიფიკაციის ამაღლებაზე ზრუნვას, მედიატორთა ეთიკის დაცვაზე ზედამხედველობას და სხვა მნიშვნელოვანი ფუნქციების განხორციელებას.⁹⁹ ასევე გასაზიარებელია კანონმდებლის შემდეგი მოსაზრება, რომ „მედიაციის წარმატებული დანერგვა შეუძლებელია ამ სფეროსთან სამართლებრივი კავშირის მქონე ყველა დაინტერესებული უწყებისა თუ პირის ერთობლივი ძალისხმევითა და ჩართულობის გარეშე“.¹⁰⁰ კანონპროექტის საბოლოო ვერსია შეაფასა სლოვენელმა ექსპერტმა *ალეშ ზალარმა* და გარკვეული რეკომენდაციებიც გასცა. მისი შეფასებით კანონი შეესაბამება ევროპულ და საერთაშორისო მედიაციის სტანდარტებს, რომელიც მედიაციის

⁹⁹ <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/216089> 2019 წლის 18 სექტემბერს მიღებული კანონის „მედიაციის შესახებ“ განმარტებითი ბარათი, გვ. 2;

¹⁰⁰ იქვე, გვ. 3;

განვითარების გზა არის. მისი რეკომენდაციები კი ეხებოდა მხარეთა მედიაციის გამოყენებაზე წახალისებას და ამ პროცესში მოსამართლის გააქტიურებას, მედიაციის შედეგად მიღებული შეთანხმებების აღსრულების საკითხების მდგრადობას და გარანტიების შექმნას, მედიატორის პროფესიის თვითრეგულირებადი ბუნებას და სხვა.¹⁰¹

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებამ, შედეგად გამოიღო ახალი კანონის მიღება „მედიაციის შესახებ“, რომელიც შექმნილია იმისთვის, რომ 2020 წლამდე მხოლოდ სასამართლო მედიაციის მოქმედებისას არსებული პრაქტიკის და ხარვეზების გაანალიზების საფუძველზე მედიაციის ინსტიტუტის განვითარებაში ახალი სიტყვა თქვას და გზა გაუხსნას კერძო მედიაციის იმპლემენტაციის გზით, მის გულშემატკივრებს უფრო მეტი აქტივობის განხორციელების შესაძლებლობისკენ.¹⁰²

3.2. მედიაციის პროცესის ფუძემდებლური პრინციპები ახალი კანონის მიხედვით

კანონმდებლობისთვის პრინციპებს დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან თითოეული მათგანი ქმნის სამართლის ნორმის საყრდენს. საქართველოს კანონი „მედიაციის შესახებ“ (შემდგომში მოხსენიებული, როგორც „კანონი“) მე-3 მუხლით აყალიბებს მედიაციის ძირითად პრინციპებს, რომელთა მიხედვით უნდა მოხდეს დავის რეგულირება მედიაციის გამოყენებისას. კერძოდ, კანონი მე-3 მუხლში ადგენს მედიაციის შემდეგ ძირითად პრინციპებს: ნებაყოფლობითობის, თვითგამორკვევის, კეთილსინდისიერების, თანასწორობის, კონფიდენციალურობის, მედიატორთა დამოუკიდებლობის და მიუკერძოებლობის. აქვე ხაზგასმულია, რომ ნებისმიერი მომავალში წარმოშობილი საკითხი, რომელიც გათვალისწინებული არ არის კანონით და მედიაციის ფარგლებში გადასაწყვეტ დავას თან ახლავს, უნდა გადაწყდეს ზემოთ ჩამოთვლილი პრინციპების საფუძველზე.¹⁰³

იმისთვის, რომ მედიაციის დღეისთვის მოქმედი რეგულაციების სრული სტრუქტურა და მისი მიზანი შეფასდეს, საჭიროა თითოეული პრინციპის განმარტება.

¹⁰¹ <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/216089> 2019 წლის 18 სექტემბერს მიღებული კანონის „მედიაციის შესახებ“ განმარტებითი ბარათი

¹⁰² იქვე, გვ. 6;

¹⁰³ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4646868?publication=1> საქართველოს კანონი „მედიაციის შესახებ“;

ა) ნებაყოფლობითობის პრინციპი: მედიაციის არსი განიხილება ნებაყოფლობითობის პრინციპთან ერთად. ნებაყოფლობითობის პრინციპი განსაზღვრავს მხარეთა ნებას მედიაციაში მონაწილეობის და მედიაციის დასრულების შესახებ გადაწყვეტილების მიღების თავისუფლებას.¹⁰⁴ მედიაციის პროცესში მედიატორი არ არის გადაწყვეტილების მიმღები პირი, შესაბამისად მედიატორს არ აქვს „გავლენა“ მხარეებზე. მედიატორისთვის, მნიშვნელოვანია მხარეები პროცესში ჩააბას თავიანთი ნების საფუძველზე,¹⁰⁵ რაც პირველი ნაბიჯია მოლაპარაკებისკენ და გარკვეულ წილად შესაძლებელია მიჩნეულ იქნას, რომ ამ გადაწყვეტილებით მხარე მზაობას აცხადებს მოდავე მხარესთან შეთანხმების ჩამოყალიბებაზე.

აღსანიშნავია, რომ კანონის მე-3 მუხლში მოცემული გვაქვს დაზუსტება, რომ ნებაყოფლობითობის პრინციპი შესაძლებელია არ იყოს გამოყენებული კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში. ნათელია, ჩანაწერი გულისხმობს სასამართლო მედიაციას, რომლის მიზანსაც ფაქტია ნებაყოფლობითობა არ წარმოადგენს, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მედიაცია სასამართლო წარმოებისას მხარეთა სურვილით არის ინიცირებული საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდგომში მოხსენიებული, როგორც „სსსკ“) 187³ მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით. ზემოხსენებულის დასტურად სსსკ-ის 187¹ მუხლი ითვალისწინებს, რომ სასამართლომ შესაძლოა დავა მედიატორს გადასცეს განჩინების საფუძველზე, ხოლო მსგავსი ტიპის განჩინება კი გასაჩივრებას არ ექვემდებარება. ამას გარდა, სსსკ ითვალისწინებს არა მხარეთა სავალდებულო ჩართვას მედიაციისას, არამედ მედიაციის პროცესზე სავალდებულო გამოცხადებასაც, რომელიც რეგულირდება სსსკ-ის 187⁵ მუხლით და მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილ ვადებში. სსსკ-ის 187⁶ მუხლის თანახმად

¹⁰⁴ ყანდაშვილი ი., საქართველოს მედიაციის მაგალითზე დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სასამართლო და არასასამართლო ფორმები, სადისერტაციო ნაშრომი, (თბილისი, 2018), გვ. 70;

¹⁰⁵ ირემაშვილი ქ., 2015, გამოწვევები კოლექტიური შრომითი დავების მედიატორისთვის, წლიწდებული 2015, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ეროვნული ცენტრი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ.10;

მხარეთა გამოუცხადებლობას სასამართლო მედიაციისას შესაძლოა სანქცირებაც მოჰყვეს.¹⁰⁶ აქედან გამომდინარე, ნათელია, სასამართლოს განჩინება ქმნის ვალდებულებას და არა ნებაყოფლობითობას.

ხოლო, კერძო მედიაცია და მისი არსი აგებულია ნებაყოფლობითობის პრინციპზე. აქედან გამომდინარე, კანონის მე-7 მუხლი, რომელიც თავის თავში მოიცავს მედიაციის წამოწყების წინაპირობას და მექანიზმს, ეყრდნობა მხარეთა ნებას და მისი მე-5 ნაწილი მხარეებს თავისუფლებას ანიჭებს უარი თქვან მედიაციაში მონაწილეობაზე,¹⁰⁷ რაც სასამართლო მედიაციისას დაუშვებელია.

ბ) თვითგამორკვევის პრინციპი: მხარეთა თვითგამორკვევის პრინციპი ასევე ზოგადად მედიაციის ერთ-ერთი მახასიათებელი პრინციპია, რომელიც მჭიდროდ დაკავშირებულია თავისი შინაარსიდან გამომდინარე ნებაყოფლობითობის პრინციპთან. თვითგამორკვევისა და ნებაყოფლობითობის პრინციპების გადაკვეთის წერტილი, სწორედ მხარის მიერ საკუთარი ნების მიხედვით ქმედების შესაძლებლობაა. კონკრეტულად, თვითგამორკვევის პრინციპი რამდენიმე ასპექტით შეიძლება შეფასდეს. იგი უზრუნველყოფს მხარისთვის არაფორმალურ გარემოთი, კონფიდენციალურობის პრინციპის გათვალისწინებით, მოლაპარაკების შესაძლებლობით, გამორკვევის უთანხმოების ძირითადი ასპექტები და საფუძვლები. ამას გარდა, თვითგამორკვევის პრინციპზე დაყრდნობით, მხარეებს შეუძლიათ ჩამოაყალიბონ საუკეთესო გადაწყვეტილება, შექმნან სამომავლო ურთიერთობის მისაღები ფორმატი, გააფორმონ მედიაციის შეთანხმება. მხარეთა მიერ ჩამოყალიბებული გადაწყვეტილების აღმსრულებელი ხომ ისევ მხარეები არიან, რაც იმას ნიშნავს რომ მხარეთა შორის გაფორმებული შეთანხმება, რომლის მიღწევაში მედიატორი ფასილიტატორის როლს ასრულებს, არის თვითგამორკვევის პრინციპის რეალიზება. ამას გარდა, მეორე მხრივ, მხარეთა შორის შეთანხმების აქტის გაუფორმებლობა, არ ნიშნავს თვითგამორკვევის პრინციპის რეალიზება უგულებელყოფას. თვითგამორკვევის

¹⁰⁶<https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962?publication=140> საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, თავი XXI¹, სასამართლო მედიაცია;

¹⁰⁷<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4646868?publication=1> საქართველოს კანონი „მედიაციის შესახებ“;

რეალიზება იწყება იმ ეტაპიდან, როდესაც მხარე საკუთარი ნების საფუძველზე ჩაებმება მედიაციის პროცესში და დავის არსის გამორკვევას შეუდგება მეორე მხარესთან ერთად.¹⁰⁸ თვითგამორკვევის ნათელი მაგალითია „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 და მე-5 მუხლები, რომელთა საშუალებით მხარეებს ენიჭებათ უფლებამოსილება თავად აირჩიონ მედიატორი და გაითვალისწინონ მედიატორის პროფესიული უნარ-ჩვევები, რომლებიც დაეხმარებათ მათ მედიაციის პროცესისას დავის არსის გაგებაში და ხელს შეუწყობს თვითგამორკვევაში. აღნიშნულიდან არსებობს გამონაკლისები სასამართლო მედიაციისას, როდესაც მხარეები ვერ თანხმდებიან მედიატორის არჩევაზე. ასევე კანონის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილით მხარეებს შეუძლიათ დაადგინონ მედიაციის წარმართვის წესი, რომელიც ასევე დამხმარე გზა იქნება თვითგამორკვევის მიზანში. მოკლედ, რომ შევაჯამოთ თვითგამორკვევის პრინციპი სხვადასხვა დონეზე, დაცულია როგორც სასამართლო მედიაციისას, ასევე კერძო მედიაციისას, რომელიც სულ მცირე არაფორმალურ და თავისუფალ გარემოს გულისხმობს დავის განსახილველად.¹⁰⁹

გ) კეთილსინდისიერების პრინციპი: კეთილსინდისიერების პრინციპი სამოქალაქო სამართლის ქვაკუთხედია და წარმოადგენს, როგორც ზოგად და მნიშვნელოვან პრინციპს, რომელზეც აგებულია „სამართლიანობის“ ცნება, ასევე მოიაზრება, რომ მიეკუთვნება კერძო სამართლის „უნივერსალურ შეფასებით კატეგორიას“. კეთილსინდისიერების პრინციპის მიხედვით თავისუფლების ფარგლები ისაზღვრება და მისი გაანალიზებით შესაძლებელია გავმიჯნოთ „უსამართლო“ „სამართლიანისგან“.¹¹⁰ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილი სამართლებრივ ურთიერთობების მონაწილეებს ავალდებულებს კეთილსინდისიერად განახორციელონ საკუთარი უფლებები

¹⁰⁸ ყანდაშვილი ი., საქართველოს მედიაციის მაგალითზე დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სასამართლო და არასამართლო ფორმები, სადისერტაციო ნაშრომი, (თბილისი, 2018) გვ. 72-73;

¹⁰⁹ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4646868?publication=1> საქართველოს კანონი „მედიაციის შესახებ“;

¹¹⁰ კერესელიძე დ., კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტის გამოცემა, თბილისი, 2009, გვ. 83;

და მოვალეობები.¹¹¹ უზენაესი სასამართლო აზუსტებს კეთილსინდისიერების პრინციპს და აღნიშნავს, რომ „თანამედროვე ქართულ სამართლებრივ სივრცეში კეთილსინდისიერება მატერიალურ სამართლებრივ ნორმად გადაიქცა და სამართლიანობასა და თანასწორობაზე დამყარებულ სამართლებრივ სისტემაში გაერთიანდა, რითაც უფრო ფართო დატვირთვა შეიძინა. კეთილსინდისიერების პრინციპი დოქტრინაში დიდწილად დაკვირვებულია მორალურ სტანდარტებთან თანამედროვე განვითარებული ქვეყნების კანონმდებლობის შესაბამისად. კეთილსინდისიერება ნიშნავს გულწრფელობას, სამართლიანობას, ვალდებულებების მიმართ პატიოსან დამოკიდებულებას“.¹¹² ყოველივე ზემოხსენებულიდან გამომდინარე, კეთილსინდისიერების პრინციპის განხორციელებას, დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც მედიატორის მიდგომაში და ნეიტრალურობის დაცვაში მხარეებთან, ასევე მხარეთა და მათ წარმომადგენელთა მიდგომაში მედიაციის პროცესისადმი და მასში ჩაბმული ნებისმიერი პირისადმი. მედიაციაში კეთილსინდისიერების პრინციპის მთავარი არსი არ მდგომარეობს იმაში, რომ მხარეებმა უნდა გააფორმონ შეთანხმების აქტი ასევე არც მხარეებს ავალდებულებს იყვნენ „პოზიტიურად განწყობილნი“. მედიაციაში კეთილსინდისიერების მთავარი გამოვლინება მხარეთა გულწრფელობას, ფაქტების სწორად მიწოდებას და ინტერპრეტაციას ემყარება, რათა შეცდომაში არ შევიდეს მედიატორი ან/და მეორე მხარე, რომელიც მედიაციის პროცესის არასწორ წარმართვას შუწყობს ხელს. კეთილსინდისიერება მედიაციაში ურთიერთპატივისცემის ელემენტის მატარებელია, რომელიც თუნდაც შესაძლოა გამოიკვეთოს მოლაპარაკებაში ჩართვაში, მეორე მხარის მოსმენაში, ინტერესების გათვალისწინებაში და სხვა.¹¹³

¹¹¹ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=108>; საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მე-8 მუხლის, მე-3 ნაწილი;

¹¹² <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/+news-mnishvnelovani-ganmarteba81.pdf>; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე N ას-1338-1376-2014; გვ. 18;

¹¹³ კიმბერლი კ. კოვაკი, 2013, ახალი ღვინო საჭიროებს ახალ რვინის ჭურჭელს: ტიკი-რომელიც დამზადებულია ცხოველის ტყავისგან; იურისტის ეთიკის გარდაქმნა, რათა მან შეჯიბრებითობის გამორიცხვით შეძლოს პრობლემის გადაჭრა: მედიაცია (მედიატორობა), ივ. ჯავახიშვილის სახელობის

დ) თანასწორობის პრინციპი: საქართველოს კანონის „მედიაციის შესახებ“ მე-8 მუხლის მე-6 ნაწილით მედიატორის ვალდებულებად განისაზღვრა მხარეთა თანასწორობის უზრუნველყოფა მედიაციის პროცესის მიმდინარეობისას.¹¹⁴ მხარეთა თანასწორობის დაცვის არსი კანონმდებლობის ზოგად პრინციპს წარმოადგენს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1-ლი მუხლი ადგენს რომ სამოქალაქო კოდექსი აწესრიგებს პირთა თანასწორობაზე დამყარებულ კერძო ხასიათის ქონებრივ, საოჯახო და პირად ურთიერთობებს.¹¹⁵ მედიაციაში მხარეთა თანასწორობა მნიშვნელოვანი პრინციპია, რომელიც პრევენციული სახის არის, რომ არ დაირღვეს რომელიმე მხარის უფლება. მედიატორის ვალდებულებაა იყოს ნეიტრალური და მიუკერძოებელი, რაც გარკვეულ წილად მოიცავს მხარეთა თანასწორობის ელემენტსაც. მხარეთა თანასწორობა მედიაციის პროცესში გამოიხატება თუნდაც იმით, იმით რომ კანონმდებლობით დადგენილი ყოველივე ნორმა თანაბრად ეხება მათ, თანაბრად აქვთ უფლება ინიცირება გაუკეთონ მედიაციის პროცესს, შეწყვიტონ იგი, ეცადონ დავა შეთანხმებით დაასრულონ და სხვა.¹¹⁶

ე) კონფიდენციალურობის პრინციპი: კონფიდენციალურობის პრინციპი მედიაციის მნიშვნელოვანი პრინციპია, რომელიც გამოარჩევს მას დავის გადაწყვეტის სხვა მექანიზმებისგან. აქედან გამომდინარე, სასამართლო მედიაციაც და კერძო მედიაცია დამყარებულია კონფიდენციალურობის პრინციპზე. „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლი ადგენს კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულებებს. კანონით დადგენილია, რომ მედიაციის პროცესის მიმდინარეობისას გაჟღერებული ნებისმიერი ინფორმაციაზე თუ წარდგენილი დოკუმენტზე მოქმედებს კონფიდენციალურობის ვალდებულება. კონფიდენციალურობის პრინციპის დაცვა ევალება ნებისმიერ პირს, რომელიც მონაწილეობს ან რაიმე მიზეზით ესწრება დავის განხილვას, მათ შორის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი, წელიწადული 2012, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ. 151-152;

¹¹⁴ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4646868?publication=1> საქართველოს კანონი „მედიაციის შესახებ“;

¹¹⁵ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=108> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი;

¹¹⁶ ყანდაშვილი ი., საქართველოს მედიაციის მაგალითზე დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სასამართლო და არასამართლო ფორმები, სადისერტაციო ნაშრომი, (თბილისი, 2018), გვ. 79;

მედიატორს, მხარეებს და მათი წარმომადგენლებს და სხვა. კანონი უშვებს შემთხვევებს, როდესაც წერილობითი შეთანხმების საფუძველზე მხარეები აცხადებენ თანხმობას, რომ მედიატორი ან/და მხარეები თავისუფლდებიან კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულებისგან. შესაბამისად, მედიაციაზე გაჟღერებული ინფორმაციის არმართლზომიერი გამჟღავნება დაკვალიფიცირდება ვალდებულების დარღვევად. მედიატორს, ასევე აქვს ვალდებულება არ გათქვას ინდივიდუალურ შეხვედრებზე ერთი მხარის მიერ მასთან გამჟღავნებული ინფორმაცია მისი თანხმობის გარეშე მეორე მხარესთან. კანონი ადგენს გამონაკლის შემთხვევებს, რომელიც არ ჩაითვლება კონფიდენციალურობის პრინციპის დარღვევად.

გამონაკლისი შემთხვევებია, როდესაც კონფიდენციალურობის დარღვევით გაცილებით დიდი სიკეთის რეალიზებაა შესაძლებელი, როგორცაა პირის სიცოცხლის ან ჯანმრთელობის დაცვა/თავისუფლების უზრუნველყოფა და არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესების დაცვა. ასევე, თუ პირს ეკისრება ვალდებულება სასამართლო ან სავალდებულო იურიდიული ძალის მქონე სხვა გადაწყვეტილებით ან მხარე ვალდებულია შეასრულოს მედიაციის პროცესის დაწყებამდე ნაკისრი სამართლებრივი ვალდებულება, თუ ინფორმაციის გამჟღავნება აუცილებელია განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის გამოძიებისთვის, თუ ინფორმაცია ისედაც ცნობილი იყო მხარისთვის ან მას შეუძლია კანონიერი გზით მოიპოვოს იგივე ინფორმაცია ან საჯარო სივრცეში სხვაგვარად მოხდა მისი გამჟღავნება და სხვა. დასასრულისკენ კონფიდენციალურობის ვალდებულების უგულებელყოფა შესაძლებელია, თუ კონფიდენციალურობის დამრღვევი პირის მიმართ მიმდინარეობს სამართლებრივი ან დისციპლინარული დავა და აღნიშნული გამომდინარეობს მედიაციის პროცესიდან, ამასთანავე აღნიშნული ინფორმაციის გაცემით პირის სამართლებრივი ინტერესების დაცვისთვის არის აუცილებელი. მნიშვნელოვანია ხაზი გავუსვათ კონფიდენციალურობის პრინციპის მოქმედების ხანგრძლივობის უწყვეტობას, რაც არ არის დამოკიდებული მედიაციის პროცესის ვადებზე.¹¹⁷

¹¹⁷ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4646868?publication=1> საქართველოს კანონი „მედიაციის შესახებ“;

ვ) დამოუკიდებლობის და მიუკერძოებლობის პრინციპი: ნეიტრალურობის პრინციპი სხვადასხვა დოქტრინაში გამოიყენება, როგორც დამოუკიდებლობის ან/და მიუკერძოებლობის პრინციპი. არსებობს ორი სახის ნეიტრალურობის პრინციპის განმარტება იურიდიულ ლიტერატურაში, პერსონალური და მედიაციის პროცესისადმი მედიატორის ნეიტრალიტეტი. ნეიტრალურობის პრინციპი პერსონალური გაგებით ნიშნავს მედიატორის ნეიტრალიტეტს, კონკრეტულად მხარეთა მიმართებაში, ხოლო მედიაციის პროცესისადმი ნეიტრალიტეტი მოიცავს მედიატორის დამოკიდებულებას დავის საგანთან მიმართებაში. კერძოდ, მედიაციის პროცესმა და პროცესიდან გამომდინარე რომელიმე მხარის ინტერესმა არ უნდა მოახდინოს გავლენა მედიატორზე. მედიატორი ვალდებულია ხელი შეუწყოს მხარეებს მიიღონ გადაწყვეტილება თვითგამორკვევის და სხვა ფუნდამენტურ პრინციპზე დაყრდნობით. მედიატორთა დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის პრინციპმა უნდა უზრუნველყოს მხარეთა თანასწორობის პრინციპის რეალიზება.¹¹⁸ „მედიაციის შესახებ“ კანონის მე-8 მუხლის მე-10 ნაწილი მედიატორს ანიჭებს უფლებამოსილებას შესთავაზოს მხარეებს სამედიაციო მორიგების პირობები, მათი თანხმობით და მათ ინტერესების გათვალისწინებით. აშკარაა, კანონი მედიატორს უფართოვებს მოქმედების არეალს, თუმცა ისე რომ მხარეთა უფლებები მედიაციის პროცესის პრინციპების შესაბამისად არ დაარღვიოს. კანონის მე-6 მუხლის პირველ ნაწილში მოცემულია მედიატორის ვალდებულება აცნობოს მხარეებს პროცესის დაწყებამდე ან/და მის ნებისმიერ ეტაპზე, გარემოებების შესახებ, რომელმაც შეიძლება გავლენა იქონიოს მის ნეიტრალურობაზე. თუმცა, თუ მხარეთა მიერ მაინც გაცხადდება თანხმობა მედიატორის პროცესში მონაწილეობაზე წერილობითი, ეს არ შეუშლის მას შეასრულოს თავისი მოვალეობა. მაგრამ, მედიატორმა შესაძლებელია თავად თქვას უარი მედიატორობაზე, მიუხედავად მხარეთა თანხმობისა, და ამით დააზღვიოს საკუთარი რეპუტაცია და მხარეებიც.¹¹⁹

¹¹⁸ ყანდაშვილი ი., საქართველოს მედიაციის მაგალითზე დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სასამართლო და არასამართლო ფორმები, სადისერტაციო ნაშრომი, (თბილისი, 2018), გვ. 80-81;

¹¹⁹ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4646868?publication=1> საქართველოს კანონი „მედიაციის შესახებ“;

3.3. კანონით მიღებული ცვლილებების შეფასება

წინამდებარე თავში განხილულ იქნება საქართველოში დღეისათვის არსებული მედიაციის ძირითადი საკანონმდებლო სივრცე. პირველ რიგში, აღსანიშნავია, რომ საქართველოს კანონის „მედიაციის შესახებ“ ინიცირებას მოჰყვა მთელი რიგი განსახორციელებელი ცვლილებების ნუსხა. კერძოდ, დარეგისტრირებული N07-2/319/9 კანონპროექტი მოიცავდა საქართველოს კანონის „მედიაციის შესახებ“ კანონპროექტის მიღებას, „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ კანონპროექტს, „საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“, „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე, „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის ცვლილების შეტანის თაობაზე, „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე, „საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე და „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე.¹²⁰ წინამდებარე ნაშრომში განხილულ ცვლილებებს დიდი გავლენა აქვთ ქვეყანაში მედიაციის ინსტიტუტის ინტეგრირებაზე.

საქართველოს კანონის „მედიაციის შესახებ“ (შედგომში მოხსენიებული, როგორც „კანონი“) 1-ლ მუხლში მოცემულია, რომ კანონის მოქმედება ვრცელდება მედიაციის პროცესზე, რომელიც წარმართულია მედიაციის შესახებ შეთანხმების საფუძველზე და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXI¹ თავის შესაბამისად წარმართულ სასამართლო მედიაციაზე კანონმდებლობით დადგენილი წესით. ასევე მნიშვნელოვანია თავიდანვე განვსაზღვროთ რომ კანონის მოქმედება არ ვრცელდება საქართველოს კანონი „ნოტარიატის შესახებ“ გათვალისწინებული სანოტარო მედიაციაზე, „მიწის ნაკვეთზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“

¹²⁰ <https://info.parliament.ge/#law-drafting/17600>; 2019 წლის 13 მარტს ინიცირებული კანონპროექტები გაერთიანებული შემდეგ სარეგისტრაციო კოდში: N07-2/319/9;

საქართველოს კანონით გათვალისწინებულ სანოტარო მედიაციაზე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით გათვალისწინებულ მედიაციასა და კოლექტიურ დავის განხილვისა და გადაწყვეტის მიზნით საქართველოს ორგანილი კანონით „საქართველოს შრომის კოდექსი“ გათვალისწინებულ მედიაციაზე.¹²¹

ა) კანონი „მედიაციის შესახებ“ და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი

მედიაციის შესახებ კანონის შემოღებით, საქართველოში დამკვიდრდა და დარეგულირდა კერძო მედიაცია. ყურადღება გასამახვილებელია კანონის მე-2 მუხლში მოცემულ ტერმინთა განმარტებაზე. კერძოდ, სასამართლო მედიაციის მთავარ დამახასიათებელ და საწყის წერტილად აღებულია სარჩელი და სწორედ სარჩელის აღძვრის შემდეგ იწყება სასამართლო მედიაცია მოსამართლის განჩინების საფუძველზე. აქვე ხაზგასასმელია, სასამართლო მედიაცია უშვებს ნებაყოფლობით სასამართლო მედიაციით დავის განხილვას, თუმცა პროცედურულად სასამართლო მედიაციის წესებში ექცევა. კერძო მედიაციის განმარტებაში საყურადღებოა ორი ასპექტი. პირველი ის, რომ მხარეთა ინიციატივით ხდება მედიაციაში ჩაბმა, ხოლო მეორე ასპექტში იგულისხმება - განმარტებითი წინადადების მესამე ნაწილი, კერძოდ „სასამართლოს მიერ საქმის მედიატორისთვის გადაცემის გარეშე“ განხორციელებული მედიაცია, რაც ნათლად ავლენს ზღვარს სასამართლო და კერძო მედიაციას შორის. კერძოდ, მოსამართლეს შეუძლია სარჩელის წარდგენის შემდგომ მედიაციისადმი დაქვემდებარებული საქმე დავის გადაწყვეტის და მხარეთა შეთანხმების მიზნით გადასცეს მედიატორს, რისი ძირითადი პირობაც არ შეცვლილა კანონის მიღებით. ხოლო კერძო მედიაციისთვის საკმარისია მხარეთა მიმართვა, თუმცა კანონი ადგენს სხვა შემთხვევებსაც, მაგალითად მხარეთა შორის შეთანხმებას მედიაციით დავის განხილვის თაობაზე, კანონით გათვალისწინებული საფუძველით ან მხარეთა შუამდგომლობით.¹²²

¹²¹ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4646868?publication=1> საქართველოს კანონი „მედიაციის შესახებ“;

¹²² <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4646868?publication=1>; საქართველოს კანონი „მედიაციის შესახებ“;

ზემოხსენებულის გარდა, რა თქმა უნდა, არის სხვა ძირეული განსხვავებები სასამართლო და კერძო მედიაციას შორის. მარტივად შესაძლებელია მათი გამოიჯვნა, მედიატორის არჩევა/დანიშვნის, მედიატორთა ერთიანი რეესტრის, მედიაციის წარმოების დაწყების წინაპირობების, მედიატორთა ანაზღაურების წესის და სხვა კრიტერიუმით.¹²³

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდგომში მოხსენიებული, როგორც „სსსკ“) 187² მუხლში შევიდა ცვლილება და დღევანდელი ვერსიით სასამართლო მედიაციას დაქვემდებარებული საქმეების მიმართ გამოიყენება არა მხოლოდ ამ კოდექსით დადგენილი წესები, არამედ საქართველოს კანონით „მედიაციის შესახებ“, თუმცა სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული თავისებურებებით. ზემოხსენებული სასამართლო მედიაციაში ძირითადი პრინციპების შენარჩუნების მცდელობაა. მხოლოდ სასამართლო მედიაციის არსებობა ქმნიდა მედიაციის ინსტიტუტის არასრულყოფილების განცდას, რაც მის განვითარებაზე უარყოფითად აისახებოდა. თუმცა, დღეს შესაძლებელია თამამად აღინიშნოს საქართველოში დავის გადაწყვეტის ალტერნატივების მრავალფეროვნება.¹²⁴

კანონი მიჯნავს სასამართლო და კერძო მედიაციისას მედიატორის შერჩევის და დანიშვნის პროცედურას. კანონის მე-4 მუხლი ადგენს, რომ სასამართლო მედიაციისას, მხარეები მედიატორს არჩევენ, სასამართლოს მიერ დადგენილ მედიატორთა ერთიანი რეესტრის საფუძველზე, მხარეთათვის შეთავაზებულ მედიატორთა კანდიდატურის სიიდან, მისი საქმიანობის გათვალისწინებით. ხოლო, კერძო მედიაციისას მხარეები მედიატორს არჩევენ რეგისტრირებულ მედიატორთა ერთიანი რეესტირდან. სასამართლო მედიაცია მხარეებს ზღუდავს მედიატორის შერჩევის ვადით, რომლის ხანგრძლივობა 3 დღეა. ვადის დარღვევის შემთხვევაში, საქართველოს მედიატორთა ასოციაციის წესდებით განსაზღვრული უფლებამოსილი პირი ან ორგანო, სასამართლოს მიმართავს და

¹²³ <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/219345>; განმარტებითი ბარათი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის თაობაზე;

¹²⁴ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4646807?publication=0#DOCUMENT:1>; საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში 2019 წლის 18 სექტემბერს შეტანილი ცვლილებების შესახებ;

მიმართვიდან 3 დღის ვადაში ნიშნავს მედიატორთა ერთიან რეესტრში რეგისტრირებულ მომდევნო პირს. ხოლო კერძო მედიაციისას, თუ მხარეები ვერ შეთანხმდებიან მედიატორის არჩევაზე, საქართველოს მედიატორთა ასოციაციის აღმსარებელი საბჭო მხარეთა მიმართვის საფუძველზე მედიატორს ნიშნავს მედიატორთა რეესტრიდან, თუ მხარეებს მედიატორის დანიშვნის სხვა წესი არ აქვთ განსაზღვრული.¹²⁵

კანონის მე-6 მუხლი ადგენს მედიატორის საქმიანობის შეზღუდვის წესს. კერძოდ, პირს არ აქვს უფლება იყოს მედიატორი საქმეზე, თუ:

- ა) მედიაციის პროცესის დაწყებამდე ამავე საქმის ან მასთან არსებითად დაკავშირებული სხვა საქმის მხარე ამ ამ მხარის წარმომადგენელი იყო სასამართლოში ან არბიტრაჟში, ან გაუწია მან სხვა სახის იურიდიული ან/და აუდიტორული მომსახურება მედიაციის მხარეს;
- ბ) პირს არ აქვს უფლება იყოს მედიატორი, თუ იგი იყო ან არის იმავე საქმის ან მასთან არსებითად დაკავშირებული სხვა საქმის მოსამართლე, ნაფიცი მსაჯული, პროკურორი, გამომძიებელი, სასამართლო სხდომის მდივანი, არბიტრი ან ექსპერტი სასამართლოში, არბიტრაჟში ან მსგავს პროცესში, ან მონაწილეობდა საქმეში, როგორც სახელმწიფო მოსამსახურე, მედიატორი ნოტარიუსი ან/და „არასრულწლოვანთა მასთლმსაჯულების კოდექსით“ ან საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს შრომის კოდექსით“ გათვალისწინებული მედიატორი.

ზემოაღნიშნულ წესები უკუქცევითაც არის განსახილველი. კერძოდ, მედიატორი არ არის უფლებამოსილი: საქმის დასრულების შემდეგ იმოქმედოს რომელიმე მხარის ინტერესების დასაცავად, იმავე საქმეზე ან მასთან არსებითად დაკავშირებულ სხვა საქმეზე. ასევე, მედიატორს არ აქვს უფლება, იყოს საქმის მოსამართლე, ნაფიცი მსაჯული, პროკურორი, გამომძიებელი, სასამართლო სხდომის მდივანი, არბიტრი ან ექსპერტი სასამართლოში, არბიტრაჟში ან მსგავს პროცესში, ან მონაწილეობა მიიღოს საქმეში, როგორც სახელმწიფო მოსამსახურემ, მედიატორმა ნოტარიუსმა ან/და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით ან საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს შრომის კოდექსი“

¹²⁵ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4646868?publication=1> საქართველოს კანონი „მედიაციის შესახებ“;

გათვალისწინებულმა მედიატორმა, თუ იგი იმავე საქმეზე ან მასთან არსებითად დაკავშირებულ სხვა საქმეზე იყო მედიატორი.¹²⁶ ასევე, მსგავს შინაარს ადგენს სსსკ-ის 94-ე მუხლის 1¹ ნაწილი, რომელიც გამორიცხავს მედიატორის წარმომადგენლობით უფლებამოსილების განხორციელებას, თუ იმავე ან მასთან არსებითად დაკავშირებულ სხვა საქმეზე იყო მედიატორი. მსგავსი ტიპის ქმედებები, მედიატორის მხრიდან მიუკერძოებლობის და ნეიტრალურობის პრინციპის დარღვევა იქნება, რომელიც უნდა განიხილებოდეს როგორც მედიატორის ეთიკის სტანდარტის დარღვევად. აღსანიშნავია, რომ მიმდინარე პერიოდში მედიატორის ეთიკის კოდექსი დამუშავების ეტაპზეა, რომელშიც უნდა განისაზღვროს მსგავსი ტიპის დარღვევებზე პასუხისმგებლობა.¹²⁷

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში განსაზღვრული 31-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ე“ პუნქტის ცნება ცვლილებების შემდგომ გაფართოვდა და განისაზღვრა, რომ მოსამართლე ვერ განიხილავს საქმეს ან მიიღებს მონაწილეობას, თუ იგი იყო მედიატორი იმავე საქმეზე ან ამ საქმესთან არსებითად დაკავშირებულ სხვა საქმეზე. სსსკ-ის 141-ე მუხლის „დ“ პუნქტის ცვლილება, აზუსტებს და იმპერატიულ დათქმას აყალიბებს, რომ ყველა შემთხვევაში მოწმედ არ შეიძლება გამოძახებულ და დაკითხულ იქნას მედიაციაში მონაწილე პირი, იმ კონფიდენციალურ ინფორმაციასთან დაკავშირებით, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა მედიაციის პროცესში ან არსებითად გამომდინარეობს პროცესიდან. უნდა ითქვას, რომ სიტყვები „ყველა შემთხვევაში“ კოლიზიაში მოდის მედიაციის შესახებ კანონით ჩამოთვლილ კონფიდენციალურობის ვალდებულებისგან გათავისუფლების წინაპირობებთან, რომლის ნუსხა მოცემულია ზემოთ.¹²⁸

კანონის თანახმად მედიატორს შეუძლია მოითხოვოს მედიაციის პროცესში მხარის ან მხარეთა უშუალო მონაწილეობა, რაც არ გამორიცხავს მხარის ან მხარეთა წარმომადგენელთა მონაწილეობასაც. თუმცა მედიაციის არსიდან გამომდინარე, იგი

¹²⁶ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4646868?publication=1>; საქართველოს კანონი „მედიაციის შესახებ“;

¹²⁷ <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/231938>; საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ საქართველოს კანონი;

¹²⁸ <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/231938>? საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ საქართველოს კანონი;

მიმართულია კონფლიქტის აღმოფხვრაზე, გადაწყვეტაზე და შეთანხმებაზე, რომელიც მხარეთა უშუალო ჩართულობის გარეშე თითქმის შეუძლებელია.¹²⁹

კანონის თანახმად კერძო მედიაციისას პროცესის ხანგრძლივობა შეზღუდული არ არის, სასამართლო მედიაციისგან განსხვავებით, რომლის ვადას და გახანგრძლივების პირობას ცვლილება არ შეხება.¹³⁰ კანონის განმარტებითი ბარათის შესაბამისად კანონმდებელმა აღნიშნა, რომ მხარეებს უნდა ჰქონდეთ საკმარისი დრო და შესაძლებლობა განიხილონ დავა და მასთან დაკავშირებული საკითხები, რათა მიაღწიონ შეთანხმებას.¹³¹ კანონით კერძო მედიაცია მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის შეჩერების წინაპირობაა მის დასრულებამდე, თუმცა აღნიშნული ვადა არ უნდა აღემატებოდეს 2 წელს.¹³² აღნიშნულთან დაკავშირებით ცვლილება შეეხო საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 132-ე მუხლსაც და ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერების წინაპირობად განისაზღვრა კერძო მედიაციის დაწყება.¹³³ აქვე, გასაზიარებელია ის ფაქტორიც, რომ თუ მხარეებმა კერძო მედიაციისას შეთანხმებას ვერ მიაღწიეს, მედიაციის პროცესის ვადა, როდესაც შეჩერებული იყო ხანდაზმულობის ვადა, არ ჩაითვლება შეჩერებულად, რაც მხარეთა მიერ მედიაციის პროცესის გამოყენებით ხანდაზმულობის ვადის ხელოვნურად გახანგრძლივების პრევენციას ემსახურება.¹³⁴

როგორც უკვე აღინიშნა, მხარეები თავისუფალნი არიან კერძო მედიაციის, როგორც ინიცირებაში, ასევე მის შეწყვეტაში, სასამართლო მედიაციისგან განსხვავებით. დადებითად უნდა შეფასდეს ის, რომ მხარეებს შეუძლიათ მიმართონ მედიაციის გზით მოლაპარაკების საშუალებას, ხოლო მისი ნეგატიური შედეგისას მიმართოს სასამართლო წარმოებას. უნდა ითქვას, რომ წინასასამართლო ეტაპზე ჩატარებული მედიაცია

¹²⁹ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4646868?publication=1> საქართველოს კანონი „მედიაციის შესახებ“;

¹³⁰ <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/231939?> საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ საქართველოს კანონი;

¹³¹ <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/216089> 2019 წლის 18 სექტემბერს მიღებული კანონის „მედიაციის შესახებ“ განმარტებითი ბარათი, გვ. 8;

¹³² <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4646868?publication=1> საქართველოს კანონი „მედიაციის შესახებ“;

¹³³ <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/231939?> საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ საქართველოს კანონი;

¹³⁴ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4646868?publication=1> საქართველოს კანონი „მედიაციის შესახებ“;

სასამართლო დავის განხილვაზე მხოლოდ დადებითად თუ იმოქმედებს, რადგან მხარეებს უკვე ფორმირებული ექნებათ დავის შესახებ აზრი, მოთხოვნები და მათი რეალიზების შესაძლებლობები. თუმცა გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნულმა შესაძლოა გაართულოს კონფიდენციალურობის პირობის დაცვა ან პროცესზე პოზიციის გამყარება ინფორმაციით, რომელიც გაჟღერდა მედიაციის წარმოებისას. ასეთ შემთხვევაში თუ სადაო გახდა ინფორმაციის გამჟღავნების მართლზომიერება, მხარეს მოუწევს ამტკიცოს კონკრეტული შემთხვევის შესაბამისობა კანონით დადგენილ კონფიდენციალურობის პრინციპის ვალდებულებისგან გათავისუფლების პირობებთან. მედიაციის შეწყვეტის უფლებით ასევე სარგებლობს მედიატორი, თუ იგი მხარეებთან კონსულტაციის შემდგომ განაცხადებს, რომ მედიაციის გაგრძელება არაგონივრულია და გაუმართლებელია. მიუხედავად იმისა, რომ მედიატორს არ აქვს უფლება გადაწყვიტოს დავა, აღნიშნული ჩანაწერი მას აღჭურავს უფლებით აკონტროლოს მედიაციის პროცესის მიმდინარეობის დინამიურობა და მხარეთა კეთილსინდისიერება მასში ჩაბმის მიზნების გათვალისწინებით.¹³⁵

სამედიაციო შეთანხმების აღსრულების საკითხს აწესრიგებს კანონის მე-13 მუხლი, რომელიც აღნიშნავს, რომ კერძო და სასამართლო სამედიაციო შეთანხმებას აღსრულებს სასამართლო, მხარის ან მხარეთა მიმართვის საფუძველზე. სასამართლო სამედიაციო შეთანხმების აღსრულებას სასამართლო განიხილავს „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონით და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით.¹³⁶ სსსკ-ის 187⁷ მუხლი აწესრიგებს სასამართლო მედიაციის პროცესის დასრულების საკითხებს, რომელიც მოიცავს აღსრულების მექანიზმს და მხარეს უფლებას აძლევს მიმართოს სასამართლოს საქმის წარმოების განახლების მიზნით თუ სასამართლო მედიაცია არ დასრულდა შეთანხმებით. თუმცა, აღნიშნული მიმართვისთვის კანონმდებელმა განსაზღვრა 10 დღიანი ვადა, სასამართლო მედიაციის შეწყვეტის, ანუ კანონით გათვალისწინებული ვადის

¹³⁵ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4646868?publication=1> საქართველოს კანონი „მედიაციის შესახებ“;

¹³⁶ იქვე;

ამოწურვიდან. ხოლო, თუ მხარემ არ მიმართა სასამართლოს ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით, მოსამართლე გამოიტანს განჩინებას სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ სსსკ-ის 187⁷ მუხლის მე-3 ნაწილის და სსსკ-ის 275-ე მუხლის, 1-ლი ნაწილის, „კ“ ქვეპუნქტით.¹³⁷ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსს დაემატა კარი მეშვიდე⁶, სახელწოდებით „სასამართლოს მონაწილეობა სამედიაციო მორიგების აღსრულებაში“. წინამდებარე ცვლილებით ასევე განისაზღვრა მედიაციაში უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების წესები. სხვაგვარად რომ ითქვას, სსსკ-ში მოცემული ნორმები ავსებს „მედიაციის შესახებ“ კანონის ნორმებს სასამართლოს მიერ შეთანხმების აღსრულების და სხვა საკითხში. კერძოდ, სსსკ-ის 363³² მუხლი ადგენს, რომ სასამართლოს უფლებამოსილია უარი თქვას შეთანხმების აღსრულებაზე, თუ მორიგების აქტი ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას ან მისი აღსრულება შეუძლებელია. აღსრულებაზე უარის თქმის შესახებ სასამართლოს გამოაქვს განჩინება, რომლის გასაჩივრებაც კერძო საჩივრით არის შესაძლებელი. ხოლო, სამედიაციო მორიგების აღსრულების შესახებ სასამართლოს განჩინების გასაჩივრება დაუშვებელია.¹³⁸

ბ) სასამართლოს და მოსამართლის როლის გაზრდა მედიაციის განვითარებაში

თვალსაჩინოა კანონის იმპლემენტაციის ეტაპზე კანონმდებლის მიერ კომპლექსური მიდგომა, რასაც ნათლად გამოხატავს ის ფაქტი, რომ კანონის დანერგვასთან ერთად ცვლილება შევიდა 9 ნორმატიულ აქტში. ამას გარდა, გასაზიარებელია განმარტებით ბარათში მოცემული მოსაზრება, რომ განსახილველი მთელი რიგი სიახლეების ერთ-ერთი მთავარი მისიაა გაზარდოს სასამართლოს და მოსამართლის როლი მედიაციაში, რაც დიდი წვლილია მედიაციის განვითარებაში. იმის მაგალითები თუ რას გულისხმობს მოსამართლის როლის გაზრდა, მარტივად შესამჩნევია წინამდებარე ნაშრომში, თუმცა უპრიანი იქნება კიდევ ერთხელ ხაზი გაესვას სასამართლოს როლის ამდლების მიზნით

¹³⁷ <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/231938?> საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ საქართველოს კანონი;

¹³⁸ იქვე;

განხორციელებულ ცვლილებებს.¹³⁹ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 187³ მუხლის 1-ლ ნაწილში შევიდა ცვლილება და სასამართლო მედიაციას დაქვემდებარებულ საქმეთა ნუსხას დაემატა საკითხები, რომელსაც განიხილავს მედიატორი სასამართლოს დავალებით. კერძოდ, სასამართლო მედიაციით შეიძლება განიხილებოდეს შრომითი სამართლებრივი დავები, გარდა კოლექტიური დავებისა, რომელიც მოწესრიგებულია ორგანული კანონით „საქართველოს შრომის კოდექსით“, საზიარო უფლებებთან დაკავშირებული და არაქონებრივი დავები, 20000 ლარამდე ღირებულების ქონებრივი დავები და საქართველოს საბანკო დაწესებულებების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების მიერ დადებული სესხის ხელშეკრულებებიდან (ელექტრონული ფორმით დადებული ასევე) გამომდინარე დავები, რომლის ღირებულება არ აღემატება 10000 ლარს.

სსსკ-ის 178-ე მუხლის 1-ლ ნაწილს დაემატა „ნ“ ქვეპუნქტი, იმის შესახებ რომ სარჩელში მოსარჩელემ უნდა აღნიშნოს დავის სასამართლო მედიაციის გზით განხილვის თაობაზე მოსაზრება. მსგავსი ჩანაწერი გაკეთდა ასევე სსსკ-ის 201-ე მუხლის მე-2 ნაწილის „კ“ ქვეპუნქტში, რომელიც განსაზღვრავს, რომ მოპასუხის წერილობით პასუხში/შესაგებელში მან უნდა დააფიქსიროს თავისი მოსაზრება დავის მედიაციის გზით განხილვის შესახებ. გაცილებით იმპერატიულს ხდის ზემოხსნებულს 183-ე მუხლის ცვლილება, რომლითაც მას სარჩელის რეგისტრაციისთვის საჭირო ფორმალურ წინაპირობებს დაამატა დავის მედიაციით განხილვის შესახებ მოსაზრების წარმოდგენა. ხაზგასასმელია, რომ ეს ცვლილება განაპირობებს მედიაციის პოპულარიზაციას, განსაკუთრებით იურისპრუდენციის სეგმენტში. სსსკ-ის 186-ე მუხლით განსაზღვრულია სარჩელის მიღებაზე უარის თქმის წინაპირობები, რომელთაც დაემატათ „ბ³“ და უშვებს მოსამართლის მიერ სარჩელის მიღებაზე უარის თქმის შესაძლებლობას მხარეთა შორის სამედიაციო შეთანხმებისას. მხარეები არ მიმართავენ სასამართლოს, შეთანხმებით განსაზღვრული

¹³⁹ <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/219345?> განმარტებითი ბარათი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის თაობაზე, გვ.2;

ვადის ან გარემოების დადგომამდე, გარდა იმ შემთხვევისა თუ მოსარჩელე დაადასტურებს რომ მას გამოუსწორებელი ზიანი ადგება სასამართლო განხილვის გარეშე. მნიშვნელოვანია ასევე სსსკ-ის 205-ე მუხლში განხორციელებული ცვლილებები. კერძოდ, მასში აღნიშნულია შემდეგი პირობები, რომ თუ მოსარჩელემ სარჩელში აღნიშნა, რომ მას არ სურს სასამართლო მედიაციის გზით დავის განხილვა, მოსამართლე ვალდებულია მოსამზადებელ ეტაპზე გაარკვიოს მოსარჩელეს უარის მიზეზი და განუმარტოს მედიაციის დადებითი მხარეები. ხოლო, თუ ორივე მხარემ თანხმობა განაცხადა დავის სასამართლო გზით განხილვაზე, საქმე დაუყოვნებლივ გადაეცემა მედიატორს. ეს უკანასკნელი წარმოაჩენს ცვლილებების მნიშვნელობას და მიზანს, რომელიც მიმართულია სასამართლოს როლის ამღვლეზაზე მედიაციის ინსტიტუტის განვითარებაში.¹⁴⁰

გარდა იმ ძირითადი სამართლებრივი აქტებისა, რომელიც მედიაციის ძირითად სტრუქტურას ქმნის, განსახილველია საქართველოს ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“ (შემდგომში მოხსენიებული, როგორც „ორგანული კანონი“), რომელსაც შეეხო 2019 წლის 18 სექტემბერს მიღებული „მედიაციის შესახებ“ კანონით გამოწვეული ცვლილებები. კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგებზე განმარტებით ბარათში აღნიშნულია, რომ „კანონპროექტის შემოღებით უზრუნველყოფილი იქნება „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის შინაარსის შევსება“.¹⁴¹

ორგანული კანონის დამატებითი მუხლით 13² რაიონულ (საქალაქო) და სააპელაციო სასამართლოებს დაეკისრათ ვალდებულება განახორციელონ მედიაციის განვითარებისთვის საჭირო ღონისძიებები. სასამართლო მედიაციის პროგრამის ფარგლებში უნდა იქნას გათვალისწინებული სასამართლოსა და საქართველოს მედიატორთა ასოციაციას შორის კომუნიკაციის ორგანიზების წესები, სამართლო

¹⁴⁰ <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/231938> საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ საქართველოს კანონი

¹⁴¹ <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/216116> განმარტებითი ბარათი საქართველოს ორგანული კანონის პროექტზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“, გვ.1;

მედიაციის საპროცესო მხარე და სხვა ისეთი საკითხები, რომელსაც არ აწესრიგებს საქართველოს კანონი „მედიაციის შესახებ“.¹⁴²

ზემოხსენებული ცვლილებების შეტანის თაობაზე ორგანული კანონით გათვალისწინებულ ცვლილებებისგან აღსანიშნავია საქართველოს ორგანული კანონის 49-ე მუხლში შესული ცვლილება, რომლითაც იუსტიციის უმაღლეს საბჭოს უფლებამოსილებებში განესაზღვრა საამართლო მედიაციის პროგრამის და მედიატორის ანაზღაურების წესის დამტკიცება.¹⁴³ ამასთან დაკავშირებით, საქართველოს კანონი „მედიაციის შესახებ“ მოიცავს მე-11 მუხლს, რომლითაც განსაზღვრავს კერძო და სასამართლო მედიაციისას მედიატორის ანაზღაურების წესს და პირობებს.¹⁴⁴

ორგანული კანონის ცვლილების შეტანის თაობაზე მე-2 მუხლი უზრუნველყოფდა საქართველოს იუსტიციის საბჭოსთვის 2020 წლის 1 იანვრამდე სასამართლო მედიაციის პროგრამის/პროგრამების და მედიატორის საქმიანობის ანაზღაურების წესის დამტკიცებას. ეს იყო კანონის მიღებით განსაზღვრული პირველი განხორციელებული ნაბიჯი.¹⁴⁵

2019 წლის 27 დეკემბერს საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ გამოსცა გადაწყვეტილება N1/366 სასამართლო მედიაციის პროგრამის დამტკიცების შესახებ (შემდგომში მოხსენიებული, როგორც „N1/366 გადაწყვეტილება“ ან „მედიაციის პროგრამა“), რომელიც ძალაში შევიდა 2020 წლის 1 იანვარს.¹⁴⁶ გადაწყვეტილების მიხედვით ძალადაკარგულად გამოცხადდა „სასამართლო მედიაციის პროცესის ადმინისტრირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი

¹⁴² <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/231946> საქართველოს ორგანული კანონი, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე, N4963-IX, თბილისი, 2019 წლის 18 სექტემბერი;

¹⁴³ იქვე;

¹⁴⁴ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4646868?publication=1> საქართველოს კანონი „მედიაციის შესახებ“;

¹⁴⁵ <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/231946?> საქართველოს ორგანული კანონი, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე, N4963-IX, თბილისი, 2019 წლის 18 სექტემბერი;

¹⁴⁶ <http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/2019%20-%20gadawyvetilebebi/366.pdf> 2019 წლის 27 დეკემბრის საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება სასამართლო მედიაციის პროგრამის დამტკიცების შესახებ;

საბჭოს 2016 წლის 30 დეკემბრის N1/285 გადაწყვეტილება.¹⁴⁷ N1/366 გადაწყვეტილებით სასამართლო მედიაციის მარეგულირებელ აქტებად განისაზღვრა „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი და N1/366 გადაწყვეტილებით დამტკიცებული პროგრამა. კერძოდ, მედიაციის პროგრამით განისაზღვრა, რომ მის შესრულებაზე კოორდინაციას იუსტიციის უმაღლესი საბჭო უზრუნველყოფს, რომელშიც იგულისხმება სასამართლო მედიაციის გამართულად ფუნქციონირებისთვის საჭირო რესურსებით უზრუნველყოფა, იქნება ეს ადამიანური თუ მატერიალური რესურსი. ხოლო მედიაციის პროგრამის ორგანიზაციულ უზრუნველყოფას საქართველოს საერთო სასამართლოები უზრუნველყოფენ. მედიაციის პროგრამით არ შეცვლილა 2016 წლის 30 დეკემბრის N1/285 გადაწყვეტილებაში მითითებული მედიაციის კონსულტანტის საშტატო ერთეულის არსებობის საკითხი. N1/366 გადაწყვეტილებით განისაზღვრა მედიაციის კონსულტანტის როლი, რომელიც უზრუნველყოფს სასამართლო მედიაციის პროცესის ეფექტურად წარმართვას. მისი რეგულირების ძირითადი საკითხებია მედიატორის შერჩევის/დანიშვნის წესის ორგანიზება და შესაბამისი ინფორმაციის აღრიცხვა, კომუნიკაცია მედიატორთან, მხარეებთან, ასოციაციასთან, ინფორმაციის გაცვლა, შეხვედრების დაორგანიზება, სამედიაციო შეხვედრებზე, როგორც დასწრება არ დასწრების აღრიცხვა, შეხვედრების ვადების გახანგრძლივების შესახებ ინფორმაციის აღრიცხვა, საჭირო რესურსების თაობაზე სასამართლოს თავჯდომარესთვის ინფორმაციის მიწოდება, მედიაციის ჩასატარებელი საჭირო სივრცეებით უზრუნველყოფა და სხვა.¹⁴⁸

მედიაციის პროგრამის მე-5 მუხლით განისაზღვრა სასამართლოს მიერ დავის მედიატორისთვის გადაცემის წინაპირობები, რომელიც უნდა განხორციელდეს მხარეთა

¹⁴⁷ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება N 1/285, სასამართლო მედიაციის პროცესის ადმინისტრირების წესის დამტკიცების შესახებ / <http://hcoj.gov.ge/files/285-2016.pdf>; -აღნიშნული გადაწყვეტილება ძალადაკარგულად გამოცხადდა 2019 წლის 27 დეკემბერს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით N1/366 სასამართლო მედიაციის პროგრამის დამტკიცების შესახებ; <http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/2019%20-%20gadawyvetilebebi/366.pdf>

¹⁴⁸ <http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/2019%20-%20gadawyvetilebebi/366.pdf> 2019 წლის 27 დეკემბრის საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება სასამართლო მედიაციის პროგრამის დამტკიცების შესახებ;

მიერ სარჩელის და შესაგებლის წარდგენის შემდგომ. ზემოხსენებულის წინაპირობები ცხადყოფს, რომ კანონმდებელი ინიცირებული ცვლილებებით ცდილობს მედიაციის კულტურის დანერგვას. კერძოდ, ასეთი წინაპირობებია: მხარეთა შორის სამომავლო ურთიერთობის გარდაუვალობა, მხარეთათვის დავა მნიშვნელოვნად პირადი სახისაა, თუ აშკარაა რომ მხარისთვის მნიშვნელოვანია დრო ან/და რეპუტაცია, ან არასრულწლოვნის ინტერესების განხორციელება მოითხოვს დავის სწრაფ გადაწყვეტას, მედიაციაში დავის გადაწყვეტა მნიშვნელოვანია მოდავე მხარისათვის ბიზნეს ურთიერთობის გრძელვადიანი ინტერესის დაცვის და სამართლებრივ-ეკონომიკური სტაბილურობის უზრუნველყოფისთვის და სხვა რელევანტური წინაპირობები, რომელიც მიუთითებს საქმის მედიაციით განხილვის უპირატესობაზე. ამას გარდა მედიაციის პროგრამა იძლევა მითითებას, რომ მედიაციისთვის საქმის გადაცემა შესაძლებელია სასამართლო მოსამზადებელი სხდომის ეტაპზე განხორციელდეს, თუ საქმე მედიაციას დაქვემდებარებულია და სასამართლო მიიჩნევს რომ საქმის მედიატორისთვის გადაცემა გამართლებულია. დაშვებულია დაორგანიზდეს მედიაციის უპირატესობების შესახებ საინფორმაციო ტიპის შეხვედრა, რომელიც არ გამოიწვევს საქმის წარმოების შეჩერებას. მხარეთა სურვილის შემთხვევაში შესაძლებელია ინფორმატიული შეხვედრა მედიაციის პროცესში გადაიზარდოს, რომლის შესახებ სასამართლოს ეცნობება, რომელიც განჩინებას მიიღებს საქმის მედიატორისთვის გადაცემის თაობაზე.¹⁴⁹

რაც შეეხება მედიატორს, მისი მედიაციის პროგრამაში გაწერილი ვალდებულებები და უფლებამოსილებები არის შემდეგი: სასამართლო მედიაციის პროცესში მონაწილე მედიატორი ვალდებულია ყოველწლიურად წარმართოს 2 სასამართლო მედიაციის საქმე ანაზღაურების გარეშე (Pro Bono), რომელსაც ასევე ეხება საქართველოს კანონი „მედიაციის შესახებ და მისი მე-11 მუხლის მე-3 ნაწილი.¹⁵⁰ ზოგადად, მედიატორის ანაზღაურებას

¹⁴⁹ <http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/2019%20-%20gadawyvetilebebi/366.pdf> 2019 წლის 27 დეკემბრის საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება სასამართლო მედიაციის პროგრამის დამტკიცების შესახებ;

¹⁵⁰ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4646868?publication=1> საქართველოს კანონი „მედიაციის შესახებ“;

განსაზღვრავს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო შესაბამისად დადგენილი წესის მიხედვით. მედიატორი აღჭურვილია უფლებამოსილებით უარი თქვას მედიატორად დანიშვნაზე, თუმცა ასეთი შემთხვევის 6 თვის განმავლობაში სამჯერ არასაპატიოდ გამეორებისას, იგი სანქცირებული იქნება. სანქცია გამოიხატება იმაში, რომ მიმდინარე წლის ბოლომდე სასამართლო არ გადასცემს მედიაციის საქმეს აღნიშნულ მედიატორს, თუმცა გამონაკლისი შემთხვევა არის ის თუ კი სწორედ ეს მედიატორი იქნება არჩეული მხარეთა მიერ, რომელიც მხარეთა ნებას უპირატესობას ანიჭებს. სასამართლო მედიაციით კანონმდებლობით დადგენილი წესით საქმის მორიგებით დასრულებისას, მედიატორი მორიგების აქტს წარუდგენს მედიაციის კონსულტანტს, ხოლო კონსულტანტი უზრუნველყოფს მორიგების აქტის მოსამართლის მიერ დამტკიცებას. თუ მედიაციისთვის დადგენილ ვადებში მხარეებმა დავა შეთანხმებით ვერ დაასრულეს სასამართლო განაახლებს საქმის წარმოებას, მედიაციის კონსულტანტის მიმართვის საფუძველზე. სამედიაციო მორიგების აქტის ტექსტი უნდა იყოს ქართულ ენაზე ჩამოყალიბებული.¹⁵¹

4. დასკვნა

წინამდებარე ნაშრომში ნათლად ჩანს, როგორც ზოგადად მედიაციის არსი, პრინციპები, ასევე საქართველოში მისი მოქმედების ფარგლები და განხორციელებული ქმედებები მისი

¹⁵¹ <http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/2019%20-%20gadawyvetilebebi/366.pdf> 2019 წლის 27 დეკემბრის საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება სასამართლო მედიაციის პროგრამის დამტკიცების შესახებ;

იმპლემენტაციისთვის. თემა განიხილავს მედიაციის ინსტიტუტის განვითარების საფეხურებს საქართველოში. ანალიზი ცხადყოფს, რომ საქართველოს დიდი კულტურა ჰქონდა მედიაციაში, რაც სამწუხაროდ დღესდღეისობით ნაკლებად უკავშირდება მედიაციის დამკვიდრების საკითხებს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში 2011 წლის 20 დეკემბერს შესული ცვლილებებით სასამართლო მედიაციის დამკვიდრებამ ხელი ვერ შეუწყო მედიაციის პროგრესირებად განვითარებას და პოპულარიზაციას, თუმცა აუცილებლად უნდა ითქვას, რომ მისი მთავარი დამსახურებაა საწყისი წერტილის შექმნა მედიაციის სტრუქტურში. საზოგადოებაში გაჩნდა ჯგუფები, ვისთვისაც საინტერესო გახდა ინსტიტუტი და მისი დადებითი თვისებების გამოყენება, მმართველთაგან მხარდაჭერის ეფექტურობის ამაღობის მიზნით. „სასამართლო“ დიდი გავლენით სარგებლობს, საზოგადოების უმეტესი ნაწილისთვის დავის გადაწყვეტასთან მხოლოდ ის ასოცირდებოდა, როგორც ავტორიტეტის მქონე ინსტიტუტი. შესაბამისად სასამართლოს მხარდაჭერა მედიაციისთვის მნიშვნელოვანია. მედიაციის განვითარებას სჭირდებოდა კომპლექსური მიდგომები და ნათელი პრაქტიკა. კვლევის დროს გამოჩნდა, რომ 2019 წლის 18 სექტემბრის ცვლილებებამდე მედიაციის კანონმდებლობას ბევრი ნაკლი ჰქონდა, და ერთ-ერთი მათგანი კერძო მედიაციაა. კერძო მედიაციას შეუძლია საფუძველი ჩაუყაროს მედიაციის ინსტიტუტის მომავალ განვითარებას. მხოლოდ სასამართლო მედიაციის არსებობისას, სამწუხაროდ, ვერ მოხერხდა მისი თუნდაც სასამართლოში ისეთი საშუალებებით დამკვიდრება, რომ საზოგადოებაში სანდოობა შეექმნა. რა თქმა უნდა, სასამართლო მედიაციის პრინციპებთან იყო კონფიდენციალურობის პრინციპი, მაგრამ ეს უკანასკნელი არ გამოდგა მხოლოდ სასამართლოს ვიწრო სექტორში სავიზიტო ბარათად, პირიქით მისი დაცვის მექანიზმებიც კი ეჭვს იწვევდა.

მედიაციის შესახებ კანონმა თეორიული თვალსაზრისით სრულიად შეცვალა მედიაციის არსებობა საქართველოში და კარი გაუხსნა არა მარტო მედიაციის, როგორც ინსტიტუტის განვითარებას, არამედ ახალი პროფესიის ჩამოყალიბებას დაუდო სათავე. ნაშრომში

მოცემული რიგი ცვლილებები ცხადყოფს, რომ მედიატორთა საქიროება არა მხოლოდ სასამართლოს ბაზაზე იქნება, არამედ კერძო სექტორშიც. შესაბამისად, აქამდე კითხვის ნიშნის ქვეშ არსებული მედიატორის პროფესიის განვითარების საკითხი, მოითხოვს მუდგმივად განვითარებად და შესწავლაზე ორიენტირებულ მექანიზმებს, რაც კიდევ უფრო გაზრდის მომავლისთვის მედიაციის ხარისხს. ცვლილებების კომპლექსური სახე კი ხელს შეუწყობს იურიდიულ სამყაროში დასაქმებულ საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას მედიაციის შესახებ. ნაშრომიდან, ნათლად ჩანს სასამართლოს როლის გაზრდა მედიაციის პოპულარიზაციაში და განვითარებაში, რაც ერთ-ერთი ნაყოფიერი წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება. აუცილებლად ხაზგასასმელია, რომ კერძო მედიაციის დაფუძნებამდე არსებული სასამართლოს მედიაციის მოდელმა თითქოს ბეწვის ხიდზე გაიარა, რომ არ დაეკარგა მედიაციის სახე. რა თქმა უნდა, თვითგამორკვევის პრინციპი იყო შენარჩუნებული, თუმცა ისიც მედიაციის პროცესების ხანგრძლივობის შეზღუდვით. ამას გარდა, ნებაყოფლობითობის პრინციპი ფაქტობრივად არ მუშაობდა, არც იმ მცირედი ნაწილით, რაც კანონმდებლობით იყო გათვალისწინებული. სწორედ ეს ყველაფერი, თვალსაჩინოს ხდის ცვლილებების ფასს და იძლევა საშუალებას შეფასდეს მედიაციის ინტეგრირება საქართველოში, რომელიც წინამდებარე ნაშრომის მიზანს წარმოადგენს.

ნაშრომი მოიცავს უკვე გაანალიზებულ ერთ სიბრტყეში მოქცეულ საკანონმდებლო რეგულაციებს, რომლის კითხვისას შესაძლებელია მრავალი მსჯელობის გავითარება, რომელიც შესაძლებელია გახდეს ახალი ინიციატივების დასაბამი. მედიაციის განვითარების ისტორია მნიშვნელოვანი შეფასებითი თეორიული ნაწილია, რომელიც სამომავლოდ დიდ დახმარებას გასწევს მედიაციის ინსტიტუტის მომავალ განვითარებაზე.

ბიბლიოგრაფია

ქართულენოვანი ლიტერატურა:

გვენტაძე ნ., გოცირიძე ე., თორდია ვ., მურუსიძე ლ., სოფრომაძე კ., 2017, მოსამართლეთა საქმიანობის შეფასება, სასამართლო მედიაცია და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, პუბლიკაცია დაბეჭდილია ევროპის საბჭოს პროექტის „სასამართლო რეფორმის მხარდაჭერა საქართველოში“ ფარგლებში, თბილისი;

ირემაშვილი ქ., 2013, მედიაციის ინტეგრირება სამართლის სკოლის სასწავლო პროგრამაში, წელიწადი 2012, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ეროვნული ცენტრი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა;

ირემაშვილი ქ., 2015, გამოწვევები კოლექტიური შრომითი დავების მედიატორისთვის, წელიწადი 2015, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ეროვნული ცენტრი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა;

კერესელიძე დ., კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტის გამოცემა, თბილისი, 2009;

კიმბერლი კ. კოვაკი, 2013, ახალი ღვინო საჭიროებს ახალ რვინის ჭურჭელს: ტივი-რომელიც დამზადებულია ცხოველის ტყავისგან; იურისტის ეთიკის გარდაქმნა, რათა მან შეჯიბრებითობის გამორიცხვით შეძლოს პრობლემის გადაჭრა: მედიაცია (მედიატორობა), ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი, წელიწადი 2012, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი;

მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივები საქართველოში, დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი, (თბილისი, 2013);

მეტრეველი ვ. ქართული სამართლის ისტორია, გამომცემლობა „მერიდიანი“, (თბილისი 2009);

ოქროპირიძე ბ., მედიაცია - სიახლე თანამედროვე ქართულ სამართალში და მისი გავითარების პერსპექტივა საერთაშორისო გამოცდილების საფუძველზე, 2013, დავის ალტერნატიული გადაწყვეტა, წელიწადი 2012, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ეროვნული ცენტრი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა;

ტყემალაძე ს. მედიაცია საქართველოში, ტრადიციიდან თანამედროვეობამდე, UNDP Georgia, (თბილისი, 2016);

ყანდაშვილი ი., საქართველოს მედიაციის მაგალითზე დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სასამართლო და არასამართლო ფორმები, სადისერტაციო ნაშრომი, (თბილისი, 2018);

ცერცვაძე გ., მედიაცია, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმა (ზოგადი მიმოხილვა), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მეთოდების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, (თბილისი, 2010);

დავის ალტერნატიული გადაწყვეტა, წელიწადი 2014, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ეროვნული ცენტრი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა;

წულაძე ალ., სასამართლო მედიაციის ქართული მოდელი ევრო-ამერიკულ პრიზმაში, სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, უნივერსიტეტის გამომცემლობა, (თბილისი, 2016);

უცხოენოვანი ლიტერატურა:

Ali Khaled Ali Qtaishat, Hiyam Mah'd Harb Alshawabkeh, Hanadimahamoud Tawfek Salh, European Journal of Scientific Research, ISSN 1450-216X / 1450-202X Vol. 148 No 3 February, 2018, <http://www.europeanjournalofscientificresearch.com>, European Union Directive on Mediation: Assessing the Developments and Challenges;

Black H.C., Nolan J.R., Nolan-Haley J. M., BLACK'S LAW DICTIONARY, Sixth Edition (USA, 1990);

Brown S., Cervenak C., Fairman D., Alternative Dispute Resolution Practitioners Guide, Office of Democracy and Governance, Bureau for Democracy, Conflict and Humanitarian Assistance, U.S. Agency for International Development, 1998;

Carneiro D., Novais P., Neves J., Conflict Resolution and its Context, From the Analysis of Behavioural Patterns to Efficient Decision-Making, Law, Governance and Technology Series N18, (Springer International Publishing Switzerland, 2014);

Doherty N., Guylar M., The essential Guide to Workplace Mediation & Conflict Resolution, first published in Great Britain and United States by Kogan Page Limited, 2008;

Elster J. Alchemies of the Mind; Rationality and the Emotions (United Kingdom, Press Syndicate of the University of Cambridge, 1999);

Edited by Bercovitch J., Kremenyuk V., Zartman W., SAGE Handbook of Conflict Resolution, (Los Angeles, London, New Delhi, Washington DC, SAGA Publications 2009);

Folberg J., Development of Mediation Practice in the United States, 2015;

Ftika A., Med/Arb Models, Dissertation of under the guidance of Professor Apostolos Anthimos, School of Economics and Business Administration, LL.M. in Transnational and European Commercial Law and Alternative Dispute Resolution, (Thessaloniki, November 2013);

Fisher R., Ury W., with Edit. Patton B., Getting To Yes, Negotiating Agreement Without Giving In, Second Edition by Fisher, Ury and Patton, Random House Business Books, (USA, 1992)

Rozdeiczer L., Alvarez de la Campa A., Alternative Dispute Resolution Manual: Implementing Commercial Mediation, Small and Medium Enterprise, (USA, Nov 2006);

ელექტრონული სახის ინფორმაცია:

განმარტებითი ბარათი - 2011 წლის 21 ნოემბრის ინიცირებული კანონპროექტის, საქართველოს ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებების შეტანის თაობაზე, <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/52644>;

განმარტებითი ბარათი - საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის თაობაზე, <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/219345>;

განმარტებითი ბარათი - საქართველოს ორგანული კანონის პროექტზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“, <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/216116>;

განმარტებითი ბარათი - 2019 წლის 18 სექტემბერს მიღებული კანონის „მედიაციის შესახებ“, <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/216089>;

ინფორმაცია 2011 წლის 19 ოქტომბრის შეხვედრაზე, <http://hcoi.gov.ge/ge/sasamartlo-da-arasasamartlo-mediatsiis-danergva-saqartveloshi/1086>;

ინფორმაცია 2011 წლის 22 ნოემბრის შეხვედრაზე, <http://hcoi.gov.ge/ge/sasamartlo-da-arasasamartlo-mediatsiis-danergva-saqartveloshi/1113>;

ინფორმაცია 2012 წლის 8 მაისის შეხვედრის შესახებ, <http://hcoj.gov.ge/ge/sasamartlo-mediatsiis-temastan-dakavshirebit-memorandumi-gaformda/1924>;

ინფორმაცია 2015 წლის 28 სექტემბრის შესახებ, <http://hcoj.gov.ge/ge/mediatsiis-sapilote-proeqtis-prezentatsia/2521>;

ინფორმაცია 2016 წლის 14 მარტის N1/107 გადაწყვეტილების შესახებ, სამოქალაქო საქმეზე სარჩელის, შესაგებლის, საჩივრის ფორმებში შეტანილი ცვლილებების შესახებ, <http://hcoj.gov.ge/ge/common-courts/sasamartlo-formebi/sasamartlo-formebi-samoqalaqo-saqmeze>;

ინფორმაცია 2017 წლის 3 აპრილს საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს, თბილისის საქალაქო სასამართლოს და საქართველოს მედიატორთა ასოციაციას შორის გაფორმებული მემორანდუმის შესახებ, <http://hcoj.gov.ge/ge/mediatsiis-programis-implementatsiis-miznit-urtiertgagebis-memorandumi-gaformda/2863>;

საკანონმდებლო აქტები:

საქართველოს ორგანული კანონი, „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე, N4963-IX, თბილისი, 2019 წლის 18 სექტემბერი, <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/231946>;

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება N 1/285, სასამართლო მედიაციის პროცესის ადმინისტრირების წესის დამტკიცების შესახებ / <http://hcoj.gov.ge/files/285-2016.pdf> ;

2019 წლის 27 დეკემბრის საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება სასამართლო მედიაციის პროგრამის დამტკიცების შესახებ, <http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/2019%20-%20gadawyvetilebebi/366.pdf>;

საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ საქართველოს კანონი, <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/231939>;

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მე-8 მუხლის, მე-3 ნაწილი, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=108>;

2019 წლის 13 მარტს ინიცირებული კანონპროექტები გაერთიანებული შემდეგ სარეგისტრაციო კოდში: N07-2/319/9, <https://info.parliament.ge/#law-drafting/17600>;

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე N ას-1338-1376-2014, <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/+news-mnishvnelovani-ganmarteba81.pdf>;

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, თავი XXI, სასამართლო მედიაცია, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962?publication=140>;

საქართველოს კანონი „მედიაციის შესახებ“, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4646868?publication=1>;

საქართველოს ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილების შეტანის შესახებ საქართველოს კანონი N5550-რს, 2011 წლის 20 დეკემბერი, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1541725?publication=0>;